პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

1981 წელი ოთხშაბათი 21 იანვარი № 16 (17958) ფასი 2 კაპ.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

საჭიროა წინსვლა, საჭიროა წინ ვიხედებოდეთ, საჭიროა ყრილობაზე მოვიტანოთ სამეურნეო მშენებლობის კარგად მოფიქრებული და ყურადღებით, პარტიის ყველა წევრის საერთო შრომით, საერთო ძალღონით გადამუშავებული პრაქტიკული გამოცდილება.

**ვ. ი. ლენინი.**





## საქართველოს კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობის გახსნის შესახებ

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი აუწყებს საქართველოს კომპარტიის *XXVI* ყრილობის დელეგატებს, რომ

**ყრილობა გაიხსნება 22 იანვარს,**

დილის 9 საათზე საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დიდ დარბაზში

## საქართველოს კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობის დელეგატთა საყურადღებოდ:

საქართველოს კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობის დელეგატთა რეგისტრაცია წარმოებს დილის 9 საათიდან საღამოს 6 საათამდე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის შენობაში.

ტელეფონი: 93-77-30, 93-77-79.

# შენ კომუნისტი ხარ!

რაოდენ ძვირფასი და საამაყოა შენთვის ეს სახელი. უწინარეს ყოვლისა გეამაყება — იმ დიად პარტიას ეკუთვნი, რომელიც ლენინმა შექმნა და გამოაწრთო. განა არის რაიმე, უფრო ძვირფასი, უფრო საამაყო და უფრო სასიქადულო, ვიდრე ის, რომ ჩვენი მშობლიური კომუნისტური პარტიის აკვანთან დიდი ბელადი იდგა, რომელმაც იმთავითვე დაანათლა მას ტიტანური ძალა, კაცობრიობის ნათელი მომავლის შენება, ყველა ჩაგრულისა და ექსპლოატირებულის განთავისუფლებისათვის ბრძოლა, პროლეტარული ინტერნაციონალიზმი.

საამაყოა, რომ შენ იმ პარტიას ეკუთვნი, რომლის ხელმძღვანელობით მუშები და გლეხები შეუპოვრად და თავდაუზოგავად შეებრძოლნენ თვითმპყრობელობას, დაამხეს ცარიზმი და შექმნეს მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფო. და დღეს მსოფლიოს რამდენიმე ქვეყანაში ამაყად ფრიალებს სოციალიზმის დროშა.

რამდენი გამარჯვება და რამდენი სასიხარულო წარმატებაა მოპოვებული მშობლიური კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით! ოქტომბრის რევოლუციიდან დღემდე განვლილ გზას რომ თვალი გადაავლო, არ შეიძლება მეხსიერებაში მაშინვე არ ამოტივტივდეს იმ კომუნისტთა სახეები, ვინც სიცოცხლეს არ ზოგავდა სამოქალაქო თუ სამამულო ომის ფრონტებზე, ვინც პირველი დგებოდა პირველი ხუთწლედების ხარაჩოებთან, ტაიგაში გაჰყავდა გზები და ფოლადის მაგისტრალები, კალაპოტს უცვლიდა მდინარეებს, ადგილიდან ძრავდა მთებს და მიწის გულიდან ამოჰქონდა ძვირფასი სიმდიდრე — მილიონი წლების განმავლობაში კაცთაგან უხილავი და ხელმიუწვდომელი.

დიდია მარქსიზმ-ლენინიზმით გაცისკროვნებული კომუნისტური იდეალების ძალა და ცხოველმყოფელობა. დღეს, როდესაც განვითარებული სოციალიზმის ეპოქაში ვცხოვრობთ, ნათლად ვხედავთ, რომ კომუნისტური იდეალებისადმი ერთგულება არა მარტო ქმნის მატერიალურ დოვლათს, განამტკიცებს ქვეყნის ეკონომიკურ და პოლიტიკურ ძლიერებას, არამედ, რაც მთავარია, შობს და აყალიბებს სრულიად ახალი ტიპის ადამიანს, რომლის მოქმედების ამოსავალი პრინციპებია ბრძოლა კომუნისტური საქმის გამარჯვებისათვის, ადამიანური ცხოვრების მაღალი ღირებულების შეგნება და ოპტიმიზმი, მორალური მოთხოვნილება, რომ პრაქტიკულად, საქმით განამტკიცოს კომუნიზმი, თავისი შრომით მოაახლოვოს იგი.

ჩვენს მორალურ იდეალს შეიძლება ხორცი შევასხათ მხოლოდ ცხოვრების კომუნისტურად გარდაქმნისათვის ბრძოლაში აქტიური მონაწილეობით. არ შეიძლება თავი ჩათვალო კომუნისტად, თუ დაუღალავად არ ტრიალებ კომუნისტური საქმეების შუაგულში. ბრძოლა კომუნისტური მორალის იდეალებისათვის — ეს არის შემოქმედებითი, შთაგონებული შრომა, რომელიც ბადებს ენთუზიაზმს, ავლენს გონებისა და სულის ყველაზე ძლიერ თვისებებს. კომუნისტური იდეალებისათვის ბრძოლა მჟღავნდება საზოგადოებრივი საქმეების განუხრელად განხორციელებისათვის ბრძოლაში, სადაც თავს იჩენს ადამიანის, როგორც საზოგადო მოღვაწის ძირითადი თვისებები.

განა ჩვენი რესპუბლიკის ყოველი კომუნისტის, თითოეული მშრომელის, როგორც საზოგადო მოღვაწისა და ჭეშმარიტი მოქალაქის ძვირფასი თვისებები არ გამოჩნდა მეათე ხუთწლედის ვადამდე და წარმატებით შესრულების ფაქტით?! განა ჩვენი მეჩაიეების, მევენახეების, ხოფლის მეურნეობისა და მრეწველობის ყველა დარგის მუშაკების შეგნებული და გაცნობიერებული მოღვაწეობა — რომ პარტიისა და ხელისუფლების დავალებათა განუხრელად შესრულება აუცილებელზე აუცილებელია, რადგან ყოველდღიურად უნდა განმტკიცდეს კომუნიზმის მატერიალური ბაზა, გაძლიერდეს ჩვენი სოციალისტური სახელმწიფო — არ იყო კომუნისტური მორალის მძლავრი გამოძახილი ადამიანთა შეგნებაში, ჩვენი წარმატებების საფუძველი!

ნამდვილი კომუნისტი საკუთარ თავში ხორცს ასხამს ყველაზე საუკეთესო მორალურ თვისებებს. მისი ცხოვრება სხვების და განსაკუთრებით ახალგაზრდობის თვალში ნამდვილი გმირობაა. ასეთი გმირები ათასობით ცხოვრობენ დღეს ჩვენს გარშემო. ისინი ამრავლებენ ქვეყნის მატერიალურ და სულიერ დოვლათს, ქმნიან ატმოსფეროს, სადაც შეიძლება ლაღად და თავისუფლად იცხოვროს, ისუნთქოს და იღვაწოს მეოცე საუკუნის ადამიანმა. ამისათვის სრულიად არ არის საჭირო ათეულობით წლები და საუკუნეები. ეს ჩვეულებრივი სასწაულები ყოველდღიურად და ყოველწლიურად, ჩვენს თვალწინ და ჩვენ გვერდით ხდება. საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო ორგანიზაციის XXXVIII პარტიულ კონფერენციაზე ამხანაგი ე. შევარდნაძე ამბობდა: „საქართველოს კომპარტიის თბილისის XXXVII საქალაქო პარტიული კონფერენციის შემდეგ ჯერ ორი წელი არცკი გასულა, ორი წელი, მაგრამ რესპუბლიკის დედაქალაქის კომუნისტების, ყველა მშრომელის რაოდენ დიდი გარჯით არის ალსავსე ეს დრო! რა ბევრი რამ გაკეთდა ამ ორ წელიწადში, როგორ გაიზარდნენ ამ ხნის მანძილზე ადამიანები, ჩვენი კადრები, ყველა კომუნისტი".

ერთი დღეც და მუშაობას შეუდგება საქართველოს კომუნისტების დიდი ფორუმი — პარტიის XXVI ყრილობა. როგორ ემზადებიან რესპუბლიკის მშრომელები, ჩვენი სახელოვანი კომუნისტები ამ დიდი მოვლენისათვის? მათ ხომ ბევრზე ბევრი აქვთ საპატაკო ყრილობისათვის, ბევრი აქვთ მოსათხრობი და სათქმელი მისი საპატიო ტრიბუნიდან.

რა შესანიშნავად თქვა პოეტმა:

„თუ კომუნისტი გქვია სახელად,
ძალა არ არის შენი მომრევი,
შენ ხალხს ეკუთვნი არა ნახევრად,
არამედ
მთელი ცხოვრებით".

დიახ, შენ შეგიძლია იამაყო, რომ მთელი შენი ცხოვრება, როგორც კომუნისტისა და ჭეშმარიტი მოქალაქისა, ეკუთვნის კომუნიზმის მშენებელ ხალხს.



**გამარჯვებულთა პარადი**

რესპუბლიკის სახალხო მხატვრის კ. მახარაძის პლაკატი.

## სიტყვა ყრილობის დელეგატებს

### როცა შრომა მოთხოვნილებაა

**ჭიათურის** სამთამადნო კომბინატის ახალი ითხვისის მაღაროს გვირაბგამყვანთა კომპლექსურ ბრიგადას ვხელმძღვანელობ. მე და ჩემი ბრიგადის წევრები მეთორმეტე ხუთწლედის დამამთავრებელი წლის ანგარიშით ვმუშაობთ და გეგმის შესრულებას სამაისოდ ვვარაუდობთ.

სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში ვუმატეთ შრომის ტემპს და ყოველდღიურად ორ ნორმას ვასრულებთ. მადნის მოსაპოვებლად კლდე-ღრესთან ჭიდილში დავვაჟკაცდი, საქმისათვის არასოდეს მიღალატია და, როგორც ხედავთ, შრომა დამიფასდა, თბილისში საქართველოს კომუნისტთა დიდ ფორუმში მონაწილეობის მისაღებად ჩამოვედი.

ოცდათოთხმეტი წელია ვიბრძვი იმისათვის, რომ რაც შეიძლება მეტი მაღალი ხარისხის მადანი გამოვტაცო წიაღს და ჩემი წვლილი შევიტანო სამშობლოს ძლიერების განმტკიცებაში.

პარტიამ და მთავრობამ დამიფასეს კიდეც შრომა. დაჯილდოებული ვარ ლენინისა და შრომის წითელი დროშის ორდენებით, რესპუბლიკის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ვარ, გახლდით სკკპ XXV ყრილობის დელეგატი და მეხუთედ ამირჩიეს საქართველოს კომპარტიის ყრილობის დელეგატად.

საქართველოს კომუნისტთა ფორუმი ახალ მიჯნებს დაგვისახავს, და მეც გაორკეცებული ენერგიით ვიბრძოლებ მათი მისაღწევად.

**გ. ბაქრაძე,**

**ჭიათურის სამთამადნო კომბინატის ახალი ითხვისის მაღაროთსამმართველოს კომპლექსური ბრიგადის ხელმძღვანელი.**

### ჩვენი წვლილი

**თერჯოლის** დელეგაცია ხელხვავიანად ჩამოვიდა საქართველოს კომუნისტთა ფორუმზე, ხუთწლედის გეგმის გადამეტებით ქვეყანას მილიონობით მანეთის სოფლის მეურნეობის პროდუქტები მივყიდეთ. ქება-დიდების ღირსნი არიან ჩვენი მეზვრეები: შარშან საზოგადოებრივ მარნებში მათ 28.629 ტონა ყურძენი მიიტანეს. ასეთი რეკორდული მოსავალი იმერეთის ამ პატარა რაიონს არ ახსოვს.

თერჯოლელთა საერთო წარმატებებში თუზელ კოლმეურნეთა წვლილიც არის. ხუთწლედის ფინიშზე ჩვენმა მეზვრეებმა მოიწიეს 900 ტონა ყურძენი, ყოველი ჰექტარი ნათესიდან 27 ცენტნერი მარცვალი, თითოეულ ფურზე მოწველეს 2.000 ლიტრი რძე.

შრომაც კარგად აუნაზღაურდათ თუზელებს, ორჯერ გაიზარდა კაცდღის ღირებულება, ხოლო მატერიალური სტიმულირებისათვის მარტო მევენახეებს 156.000 მანეთი მიეცათ. ახლა კოლმეურნეობაში ბევრია ისეთი ოჯახი, რომელთა წლიური შემოსავალი 6.000-7.000 მანეთს სჭარბობს.

ყრილობაზე წარმოგზავნილ თერჯოლელ დელეგატებს შორის გვყავს რაიონის სხვა სოფლების სახელგანთქმული ადამიანები. კომუნისტის სახელს ღირსეულად ატარებს და ყველა ახალგაზრდისათვის მისაბაძია ქვედასიმონეთელი მეაბრეშუმე, ლენინის ორდენოსანი ნ. ჩუბინიძე, რუფოთელი მევენახე ლ. ღიბრაძე და სხვები. მიზანი ყველას ერთი გვაქვს — ყრილობიდან დაბრუნებისთანავე თანამოსაქმეებს გავაცნოთ ის დიდი ამოცანები, რომლებსაც პარტია დაგვისახავს, და დავრაზმოთ ისინი მეთერთმეტე ხუთწლედის ახალი მიჯნების მისაღწევად.

**ვ. ლავთაძე,**

**თერჯოლის რაიონის თუზის ა. წერეთლის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.**

## საქმიანობის ატმოსფეროში

**საბჭოთა** კავშირის კომუნისტური პარტიის, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო მონოლითური ერთიანობის ვითარებაში გაიხსნა 20 იანვარს მოსკოვში კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში XXIV საქალაქო საანგარიშო-საარჩევნო პარტიული კონფერენცია.

პრეზიდიუმში ადგილებს იკავებენ ამხანაგები **ლ. ი. ბრეჟნევი, ი. ვ. ანდროპოვი, ვ. ვ. გრიშინი, ა. ა. გრომიკო, ა. პ. კირილენკო, ა. ი. პელშე, მ. ა. სუსლოვი, ნ. ა. ტიხონოვი, დ. თ. უსტინოვი, კ. უ. ჩერნენკო, პ. ნ. დემიჩევი, ვ. ვ. კუზნეცოვი, ბ. ნ. პონომარიოვი, ი. ვ. კაპიტონოვი, ვ. ი. დოლგიხი, მ. ვ. ზიმიანინი, კ. ვ. რუსაკოვი,** რომლებსაც მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით ხვდებიან.

კონფერენციის დღის წესრიგშია პარტიის მოსკოვის საქალაქო კომიტეტის საანგარიშო მოხსენება და სკკპ მოსკოვის საქალაქო ორგანიზაციის სარევიზიო კომისიის ანგარიში, მოხსენება პარტიის XXVI ყრილობისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტის შესახებ, სკკპ საქალაქო კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის, პარტიის XXVI ყრილობის დელეგატთა არჩევნები.

პარტიის მოსკოვის საქალაქო კომიტეტის საანგარიშო მოხსენება გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. ვ. გრიშინმა.

სკკპ მოსკოვის საქალაქო ორგანიზაციის სარევიზიო კომისიის მოხსენების შემდეგ დაიწყო კამათი.

კონფერენცია მუშაობას განაგრძობს. (საკდესი).

## მისალოცი დეპეშა

**ლ. ი. ბრეჟნევმა** მისალოცი დეპეშა გაუგზავნა რონალდ უ. რეიგანს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის პოსტის დაკავების გამო.

დეპეშაში ნათქვამია:

„ჩვენი აზრით, ახლანდელ პირობებში უაღრესად საჭიროა ყველა სახელმწიფოს აქტიური მეცადინეობა საერთაშორისო ვითარების გაჯანსაღებისა და მშვიდობის განმტკიცების მიზნით. დარწმუნებული ვარ, რომ სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობის პოზიტიური განვითარება, აქტუალური საერთაშორისო პრობლემების გადაჭრაში მათი კონსტრუქციული თანამოქმედება — ჩვენი მხრივ კი ამის მომხრენი ვართ — კარგ სამსახურს გაუწევდა აღნიშნული მიზნების მიღწევას". (საკდესი).

## სსრ კავშირს ეწვევა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი

**საბჭოთა** მთავრობის მოწვევით გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ო. ფიშერი საბჭოთა კავშირში ჩამოვა 1981 წლის იანვრის დამლევს.

## „კოლხეთი" ფრთებს შლის

**კარგი** შრომითი თაოსნობანი ყოველთვის მემკვიდრეობით გადაეცემა, მუდამ ჰყავს გამგრძელებლები და წლების მიუხედავად არ ძველდება. ფოთის ს. ორჯონიკიძის სახელობის გემთშემკეთებელ ქარხანაში კი ეს ტრადიციად იქცა.

საწარმოს ვეტერანებს კარგად ახსოვთ, თუ როგორ ჩაუყარეს მათ საფუძველი ფრთიანი გემების მშენებლობას საქართველოში, დღე და ღამე როგორ მუშაობდნენ საამქროსა და ელინგებში, რათა პირობა შეესრულებინათ — პარტიის XXV ყრილობის გახსნის დღისათვის წყალში ჩაეშვათ მსოფლიოში პირველი წყალქვეშაფრთიანი „კომეტის" ტიპის გემი. იგი ყრილობის გახსნის დღეს თავისი სვლით ჩავიდა ჩვენი სამშობლოს დედაქალაქში.

**ახალი გემის ანკეტიდან: საზღვაო ექსპრესს „კოლხეთს" შეუძლია გადაიყვანოს 120 მგზავრი, საათში განავითაროს 65 კილომეტრი სიჩქარე. „კოლხეთს" შეუძლია იცუროს ფრთებით ზღვაზე 5 ბალი ღელვის დროს.**

„კოლხეთის" წყალში ჩაშვებისადმი მიძღვნილ საზეიმო მიტინგზე მოვიდნენ ყველანი, ვინც შექმნა „კომეტაც" და ახალი გემიც.

რთული იყო ახალი გემის დაბადება. მაგრამ ფოთელი გემთმშენებლები, რომლებიც ფლობდნენ ფრთიანი გემების მშენებლობის უდიდეს გამოცდილებას, მარტო არ იყვნენ — დახმარების ხელი მათ გაუწოდეს მთელი ქვეყნის გემთმშენებლებმა.

**ახალი გემის ანკეტიდან: „კოლხეთს" „კომეტასთან" შედარებით აქვს გადიდებული ზღვაოსნობის უნარი და კომფორტულობა, ფრთების მართვის ავტომატური მოწყობილობა. გემის კიჩოზე განლაგებული ძრავები საშუალებას იძლევა მინიმუმამდე შემცირდეს რყევა, ხმაური და ვიბრაცია, ჰაერის კონდიციონირების სისტემა, მოხერხებული სალონები, რომელთაც შესანიშნავი ხედვის არე აქვთ, ყოველგვარ პირობას ქმნის სასიამოვნო მოგზაურობისათვის.**

„კოლხეთის" წყალში ჩაშვებისადმი მიძღვნილ მიტინგზე გამოვიდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ზ. ა. პატარიძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს სახელით მან მხურვალედ მიულოცა ფოთის ს. ორჯონიკიძის სახელობის გემთშემკეთებელი ქარხნის კოლექტივს ეს დიდი შრომითი გამარჯვება.

დგება საზეიმო წუთი. ვერცხლისფერი გემი მძიმედ ეშვება წყალში. გაისმის ტრადიციული — ბედნიერ ცურვას გისურვებთ!

ფოთელმა გემთმშენებლებმა პირობა დადეს „კოლხეთის" სავალ გამოცდას შეუდგნენ სკკპ XXVI ყრილობის გახსნის დღეს.

გემის წყალში ჩაშვებას ესწრებოდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ზ. ა. ჩხეიძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მსუბუქი და კვების მრეწველობის განყოფილების გამგე ო. მ. ივანაშვილი. (საქინფორმი).

## თბილისი ეგებება...

**20 იანვარს** თბილისში ჩამოვიდნენ საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის დელეგატები — დასავლეთ საქართველოს რაიონების პარტიული ორგანიზაციების წარმომადგენლები. პარტიული ფორუმის დელეგატებს მუსიკით, ყვავილებით, ღიმილით დახვდნენ.

მოდიან დელეგატები აფხაზეთის პარტიული ორგანიზაციისაგან. მათ შორის არიან გუდაუთის რაიონის სკკპ XXIV ყრილობის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ხაკიბეი აიბა, აჩიგვარის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მექანიზატორი ნაზიბროლა ხასაია, გუდაუთის რაიონის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი დავით გოგობერიშვილი, სოხუმის რაიონის მეთამბაქოე ლამარა კვიტატიანი, მუშათა კლასის, ინტელიგენციის წარმომადგენლები.

— ჩვენ სიამაყით ვუპატაკებთ საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობას: აფხაზეთის მშრომელებმა გადაჭარბებით შეასრულეს მეათე ხუთწედის დავალება, — თქვა პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანმა რ. ბუთბამ. — მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შევასრულეთ ჩაისა და ციტრუსის კრეფის გეგმები. ახლა ველით ჩვენთან შეჯიბრებაში ჩაბმული აჭარის შრომითი კოლექტივების მეათე ხუთწლედში მუშაობის შედეგებს.

ბაქანზე ჩამოდიან ზუგდიდის, აბაშის, სამტრედიის, ცხაკაიას, გალის, ხობის, მესტიის რაიონების, ქუთაისის, ფოთის პარტიული ორგანიზაციების წარმოგზავნილები. ესენი არიან მთელ რესპუბლიკაში სახელგანთქმული ადამიანები.

ბათუმიდან ჩამოსულმა მატარებელმა საქართველოს დედაქალაქში ჩამოიყვანა დელეგატები აჭარის, მახარაძის, ჩოხატაურის და სხვა პარტიული ორგანიზაციებისაგან.

დელეგატები სასტუმროებში მიდიან, მაგრამ თბილისის ვაგზლის ბაქანი არ ცარიელდება. გრიალებს ორკესტრი, საითაც გაიხედავ, ყველგან ყვავილებია. (საქინფორმი).



**ამ სურათზე, რომელიც ჩვენმა ფოტოკორესპონდენტმა ვლ. გინზბურგმა გუშინ გადაიღო, აღბეჭდილია კომუნისტთა დიდი ფორუმის მონაწილეთა ერთი ჯგუფი. მარცხნიდან: ხელვაჩაურის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიე, სოციალისტური შრომის გმირი გ. ჭანიძე, სოხუმის რაიმრეწვკომბინატის მუშა დ. კიუტი, გუდაუთის რაიონის სოფელ დურიფშის კოლმეურნეობის მეჩაიე, საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ნ. საკანია, თბილისელ მშენებელთა ბრიგადის ხელმძღვანელი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ტ. ქართველიშვილი, თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის ხარატი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ტ. როსტიაშვილი, ცხინვალის რაიონის თამარაშენის საბჭოთა მეურნეობის მწველავი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ა. თეგკაევა, სსრ კავშირის სახალხო მხატვარი, ლენინური და სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების ლაურეატი ზ. წერეთელი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი, თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სოლისტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ლ. ჭყონია, წითელწყაროს რაიონის ზემო ქედის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი ა. კობაიძე, საქართველოს სსრ მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი გ. აბაშიძე.**

# შრომით ვადიდოთ



## დელეგატს გზა დაულოცეს

აი ახე გააცილეს მარტენის საამქროს მუშებმა ყრილობაზე თავიანთი მეგობარი, საუკეთესო მეფოლადე უშანგი ივანიშვილი.

დიდი შრომითი აღმავლობით შეუდგა მეთერთმეტე ხუთწლედის დავალებათა შესრულებას რუსთავის მეტალურგიული ქარხნის კოლექტივი. წლის დასაწყისიდან გეგმის გადამეტებით მეტალურგებმა 2 ათასი ტონა თუჯი, 1.700 ტონა ნაგლინი, 500 ტონა კოქსი, 300 ტონა ფოლადის მილები და ლითონის სხვა ნაწარმი გამოუშვეს. ამ გამარჯვებას რუსთაველები საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობას უძღვნიან.

— ჩვენი საწარმოს კოლექტივი მთელი პასუხისმგებლობით მოეკიდა ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას, გვითხრა ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანმა კოტე ბაქრაძემ,

ამ ამოცანის გადასაწყვეტად საწარმოში ასობით ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიება ხორციელდება. ახლა აქ, გადამწყვეტ ფაზაში შევიდა ბრძმედის რეკონსტრუქცია. ორ თვეში უნდა დამთავრდეს ძველის დემონტაჟი და ახალი, მაღალავტომატიზებული ბრძმედის დამონტაჟება.

ბრძმედის მოცულობა 725 კუბური მეტრიდან 1033 კუბურ მეტრამდე უნდა გადიდდეს, ხოლო ხიმძლავრე 750 ათასი ტონიდან მილიონ 200 ათას ტონამდე გაიზრდება.

ტრადიციად იქცა, რომ ყოველ დიდ მშენებლობაში რუსთაველებს მთელი ქვეყანა ეხმარება. ახლაც ბრძმედის რეკონსტრუქციაში მონაწილეობენ ტულელი, ლიპეცკელი, ტაგანროგელი, სუმგაითელი, ჩერეპოვეცელი, გორკელი და სხვა ქალაქებიდან ჩამოსული სპეციალისტები.

სამუშაოთა მასშტაბების წარმოსადგენად საკმარისია ითქვას, რომ ბრძმედის რეკონსტრუქციაში მონაწილეობს 2 ათასი მაღალი კვალიფიკაციის მუშა და სპეციალისტი.

მშენებლები და მემონტაჟეები მუშაობას კარგი გუნება-განწყობილებით შეუდგნენ, არ კარგავენ სამუშაო დროის არც ერთ საათსა და წუთს. ეს კი იმის გარანტიას იძლევა, რომ უდიდესი მოცულობის სამუშაოები ვადამდე შესრულდება, რუსთავის მეტალურგიული ქარხანა დარგის ერთ-ერთი წამყვანი საწარმო გახდება.

დ. რამიშვილის ტექსტი, ვლ. ვინზბურგის ფოტო.

## კოლექტიური სიბრძნით

### რესპუბლიკის მშრომელთა საყრილობო სჯა-ბაასი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წერილის გამო

**მხოლოდ** ერთი დღე გვაშორებს საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის მუშაობის დაწყებას... დიახ, ერთი მღელვარე დღე, როცა რესპუბლიკის ყველა კომუნისტის, თითოეული მშრომელის ყურადღება აქეთკენ არის მიპყრობილი, როცა ყველგან — ქალაქად თუ სოფლად მისი ღირსეულად შეხვედრის მაუწყებელი შრომითი პატაკები გაისმის.

როგორც ადრე ვიუწყებოდით, მთელ ჩვენს რესპუბლიკაში გაჩაღებულ ყრილობისწინა სამზადისს მეტი მასშტაბი და შინაარსი შესძინა კომუნისტებისა და ყველა მშრომელისადმი მიმართულმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წერილმა. მასში ნათქვამია:

„რესპუბლიკის ყველა მშრომელს, კომუნისტებსა და უპარტიოებს მოგმართავთ თხოვნით გამოთქვათ თქვენი სურვილები, გაამდიდროთ კონკრეტული, საქმიანი წინადადებებით **ერთობლივი მუშაობის პროგრამა**".

თითქმის ორი თვის მანძილზე არ შეწყვეტილა ხალხის სურვილების, შენიშვნებისა და წინადადებების ნაკადი. ისინი თავიანთი პარტიული და მოქალაქეობრივი მოვალეობის ღრმა შეგნებით გამოეხმაურნენ ცენტრალური კომიტეტის წერილის ღრმაშინაარსიან სტრიქონებს.

აი რამდენიმე სიტყვა ერთ-ერთი გამოხმაურებიდან, რომელსაც ხელს აწერს გეგეჭკორის რაიონის დიდი ჭყონის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მექანიზატორი, ოთხი შვილის დედა **მ. ლეკიშვილი**:

„ჩვენმა საყვარელმა რესპუბლიკამ მეათე ხუთწლედი წარმატებით დააგვირგვინა. ამ უდიდეს წარმატებაში ხომ ჩემი და ჩემისთანების პატარა წვლილიც არის. შრომა მართლაც დიდი სიხარულია, რადგან იგი გვიფასდება, სულ უფრო მეტი და მეტი კეთდება მშრომელი ადამიანის წასახალისებლად. როცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წერილი წავიკითხეთ, სიამაყე კიდევ უფრო დაგვეუფლა. ვხედავთ, როგორ გვენდობიან და აზრს გვეკითხებიან! ზოგმა მაშინვე დაწერა საკუთარი სურვილი. მე კი ახალი ხუთწლედის პირველი წლისათვის გადიდებული ვალდებულება ვიკისრე...".

ასეთივე განწყობილებისაა ცხაკაიას მეცხოველეობის სამეურნეობათაშორისო საწარმოს მწველავ-ოპერატორის **ჯ. ბებიას** მიერ რედაქციაში გამოგზავნილი წერილი. როგორც მასში, აგრეთვე მშრომელთა მრავალ წერილში ნათქვამია, რომ ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური დემოკრატიის ყოველმხრივ განვითარება როდი ნიშნავს იმას, რომ წათამამდნენ უსაქმურები, შრომის თავისამრიდეველნი. საჭიროა მათ მიმართ აღმზრდელობით ღონისძიებებთან ერთად სახელმწიფო კანონის მთელი სიმკაცრე გამოვიყენოთ; მათი აზრით, კარგი იქნება, თუ ყრილობა ამ საკითხზე საჭირო რეკომენდაციას შეიმუშავებს...

საერთოდ, შრომის ორგანიზაციისა და დისციპლინის საკითხების, სოციალისტური შეჯიბრების, მატერიალური და მორალური წახალისების ფორმების შესახებ ბევრი საყურადღებო წინადადებაა გამოგზავნილი. ზესტაფონის რაიონის არგვეთის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივნის **გ. კიკნაძის** აზრით, საჭიროა სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დასაქმებული ყველა მშრომელისათვის მატერიალური წახალისების ერთიანი სისტემა იქნეს შემოღებული. გურჯაანის რაიონის სასოფლო-სამეურნეო საწარმოო გაერთიანების მთავარი ეკონომისტის **შ. მაწიაშვილის** აზრით კი სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების დონის ზრდისა და მაღალი ხარისხისათვის ბრძოლას მეტი ეფექტიანობა ექნება, თუ მასთან მჭიდრო კავშირში მყოფ, მაგრამ ადმინისტრაციულად დამოუკიდებელ საწარმო-დაწესებულებათა მუშაკები რაიმე ფორმით, განსაკუთრებით მატერიალური ანაზღაურების მხრივ, პასუხს აგებდნენ კოლმეურნეობასა თუ საბჭოთა მეურნეობაში შესრულებული სამუშაოს ხარისხისათვის, ვადებისათვის, მიღებული მოსავლისათვის და მარტოოდენ ჰექტარობით ან ტონა-კილომეტრებით გეგმის შესრულება არ აინტერესებდეთ. ასეთი ორგანიზაციებია საქსოფლტექნიკა, სოფლქიმია, მელიორაციის სამმართველო და სხვ.

სოციალისტური შრომის გმირი, გურჯაანის რაიონის ჩუმლაყის კოლმეურნეობის წარჩინებული მევენახე **ქ. ბურდიაშვილი** წინადადებას აყენებს, რომ კაცდღეების ნაცვლად, რომელიც ვერ იძლევა მუშაობის სრულყოფილ და ობიექტურ შეფასებას, კოლმეურნისა და საბჭოთა მეურნეობის მუშისათვის დაწესდეს შრომადღეების სავალდებულო მინიმუმი. მთავარი ის როდია, შენიშნავს იგი, კაცმა რამდენ კალენდარულ დღეს იმუშავა, არამედ ის, თუ რა მოცულობის სამუშაო შეასრულა და რამდენად კარგად...

ტყიბულის ლენინის სახელობის შახტის პარტიული კომიტეტის წევრი **ტ. ჭიქაბერიძე**, აკრიტიკებს რა სოციალისტური შეჯიბრების ვალდებულებათა დაგვიანებით შემუშავების პრაქტიკას, მოითხოვს „სოციალისტური შეჯიბრების ვალდებულებანი ყველგან მუშავდებოდეს და ამტკიცებდნენ მას ხუთწლედის ყოველი მორიგი წლის დაწყებამდე".

სახალხო მეურნეობის ცალკეულ დარგებში დაგეგმვის სრულყოფის საკითხებზე გამოთქვამენ თავიანთ მოსაზრებას ტყიბულიდან **ვ. აშოთია** და **შ. გვეტაძე**, მეცხოველეობის საკვები ბაზის გამდიდრების რეზერვებზე — ორჯონიკიძის რაიონიდან **გ. ლაცაბიძე**, ახმეტიდან — **მ. ბალიკაშვილი**; კაპიტალურ მშენებლობათა მომარაგებაზე — ახალციხიდან **გ. კოპაძე, ა. მურადიანი** და **ო. მაისურაძე**, ქუთაისიდან — **ა. ბილისეიშვილი, ო. ჩხობაძე, ს. ტურძელაძე** და სხვები.

ბევრი შეშფოთებულია მაღალმთიანი სოფლების პრობლემის გამო, რადგან ქალაქებისაკენ და ბარის რაიონებისაკენ მიგრაცია, მიუხედავად ბოლო წლებში განხორციელებული ქმედითი ღონისძიებებისა, მაინც მთლიანად არ შეჩერებულა. ამას რომ აღნიშნავენ, ისინი მაღალმთიან რაიონებში კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების, სხვა დამატებითი საინტერესო ღონისძიებების გატარებას მოითხოვენ. ამ მხრივ საყურადღებო პრაქტიკულ წინადადებებს შეიცავს ჩოხატაურელი **ე. კუჭავას**, ქუთაისელი მეცნიერი მუშაკების **ბ. ურუშაძისა და ი. გიორგბელიძის**, ადიგენელი **ტ. ბერიძის**, ახალციხელი **ნ. ინახარიძის**, ტყიბულელი **თ. დარახველიძის**, ბოგდანოვკელი **მ. სედრაქიანის**, ასპინძელი **შ. ოთანაძის** წერილები.

„— მიღწეულ წარმატებებს ვერ დავითვლით, — გვწერს თბილისელი ომისა და შრომის ვეტერანი, ამჟამად პენსიონერი **ნ. ჩუთლაშვილი**, — მაგრამ იგი რამდენად მეტი გვექნებოდა, რომ სხვადასხვა ყაიდის ნეგატიური მოვლენები არ გვიშლიდეს ხელს. ვფიქრობ, ბიუროკრატიზმის, კერძომესაკუთრული ფსიქოლოგიის, მექრთამეობის, სპეკულაციის, თანამდებობის ბოროტად გამოყენების და სხვა ანტისაზოგადოებრივი მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლა საკმარისი არ არის. რატომ კიდევ უფრო მეტით არ ვუფიქრდებით იმას, რომ ზოგი ათჯერ, თხუთმეტჯერ იმაზე მეტ თანხას ხარჯავს, ვიდრე ხელფასი აქვს? ან საიდან მარაგდებიან სპეკულანტები? რა დასამალია, მომსახურების სფეროში, მათ შორის, სატელეფონო მეურნეობაშიც, ყველაზე მეტი უმსგავსოება ხდება. მე დიდი იმედით ველოდები საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობას, რომელიც საზოგადოებრივი წესრიგის გასაჯანსაღებლად ახალი, უფრო შემტევი ბრძოლისათვის განაწყობს თითოეულ ჩვენგანს..."

— ერთი წუთითაც კი არ შეიძლება შევანელოთ ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლა, საჭიროა გამოვნახოთ ამ ბრძოლის კიდევ უფრო ეფექტიანი ფორმები და მეთოდები! — ასეთია რესპუბლიკის კომუნისტების, ყველა პატიოსანი მშრომელის აზრი და სურვილი. სწორედ ამას ადასტურებს „კომუნისტის" ყრილობისწინა ფოსტა.

არა მარტო კომუნისტები, უპარტიონიც დიდ დაინტერესებას იჩენენ პარტიულ ორგანიზაციათა მუშაობის სტილისა და მეთოდების სრულყოფისადმი. შესრულების შემოწმება და კადრები საქმის თავიდათავია, გვწერენ ისინი. განსაკუთრებით იწონებენ შრომითი კოლექტივების, პირველადი პარტიული ორგანიზაციების რეკომენდაციებით კადრების დაწინაურების პრაქტიკას. ბევრი წერილი ეხება შტამპის, ტრაფარეტის აღკვეთას პიროვნებისათვის დახასიათების მიცემაში, ფორმალიზმის ფაქტებს — საგიტაციო-მასობრივ მუშაობაში. ხელვაჩაურის რაიონის ჩაისუბნის კოლმეურნეობის თავმჯდომარე **მ. აბაშიძე** და სხვები გვწერენ, რომ პარტიული და სახელმწიფო ღონისძიებები მით უფრო ნაყოფიერი იქნება, რაც უფრო ადრე აღვკვეთავთ სწორედ ფორმალიზმსა და მოჩვენებითობას, ყოველმხრივ განვამტკიცებთ შესრულების დისციპლინასა და კონტროლს წარმოებისა და მართვის ყველა რგოლში, ყველა პარტიულ, სამეურნეო და საბჭოთა ორგანიზაციაში.

„კომუნისტის" ბევრი მკითხველი, მათ შორის ბათუმის მანქანათსაშენებელი ქარხნის პროპაგანდისტი **რ. კირკიტაძე** მოითხოვს, რომ გამოიცეს მიზნობრივი, თემატური და საერთოდ ისეთი ლიტერატურა, რომელიც გაუღრმავებს მათ ცოდნას, დაეხმარება პოლიტიკური სწავლების დონის ამაღლებაში.

ჩვენი მიმოხილვა კი გვინდა დავამთავროთ კომკავშირული მოძრაობის, შრომისა და ომის ვეტერანის, ქ. ოჩამჩირის პირველი საშუალო სკოლის პედაგოგის კომუნისტ **დ. შამათავას** წერილის სტრიქონებით:

„ჩვენ თაობათა კავშირით ვართ ძლიერნი. აღვზარდოთ შემცვლელი თაობა — ეს კეთილშობილური მისიაა. მოგვწონს ყველა თაობის თბილისელ მოქალაქეთა გადაწყვეტილება, რომ მშობლიური ქალაქი ყოველმხრივ სანიმუშოდ აქციონ. მოდით, გავეხმიანოთ თბილისელებს და ჩვენი სურვილი ყრილობის ყველა დელეგატმა შეიტყოს, რომ მარტო თბილისი კი არა, **მთელი საქართველო გადავაქციოთ სანიმუშო წესრიგისა და ყოფაცხოვრების რესპუბლიკად!**"

ეს, ჭეშმარიტად, ყველა ჩვენგანის სახელისა და ღირსების საქმეა!

## გარჯით მოპოვებული სახელი

**მომსახურების** სფეროში მუშაობის დროს უფრო ვლინდება ადამიანის ხასიათი. გამყიდველი დღეში ათასნაირი გუნება-განწყობის მომხმარებელს შეხვდება და ყველას ანგარიში უნდა გაუწიოს, ყველას მოემსახუროს, ზოგჯერ — პირველულსაც.

მხოლოდ დიდი შრომა, გულისხმიერება და პატიოსნება მოაპოვებინებს გამყიდველს ხალხის სიყვარულსა და პატივისცემას.

ერთ-ერთი ასეთი სანიმუშო და აღიარებული მუშაკია გორის რაიონის მეჯვრისხევის ხასოფლო უნივერმაღის სასურსათო საქონლის სექციის გამგე-გამყიდველი ლენა ბიბილაშვილი. აი, რა აზრისანი არიან მასზე თანასოფლელები.

**მაგდა დუდაევი, კოლმეურნე:** დიდი სოფელია მეჯვრისხევი, ხუთი სასურსათო მაღაზია გვაქვს, კარგი გამყიდველებიც გვყავს, მაგრამ ლენა ბიბილაშვილს ვერავინ შეედრება. თვითონ არის დამლაგებელიც, გამყიდველიც, გამგეც, დილიდან საღამომდე მუხლჩაუხრელი შრომით აქვს ყოველივე შექმნილი. თვითმომსახურება სოფელში პირველად ლენამ დანერგა თავის მაღაზიაში. არ მოისვენა, სანამ თაროები არ გაამართვინა, პროდუქტების რეკლამა-წარწერები არ დაახატვინა, მომხმარებელი ახლა შეკითხვებით არც თავს იწუხებს და არც — ხხვას. 25 წელია ლენა უმწიკვლოდ მუშაობს.

მეათე ხუთწლედის დავალება მან ოთხ წელიწადში 125 პროცენტით შესრულა, წარმატებით დაამთავრა მეათე ხუთწლედის ბოლო წელიც.

ჩვენში შეუძლებელია შრომა სათანადოდ არ დაფასდეს, არც ვაჭრობის მუშაკის კარგი მუშაობა დარჩენიათ შეუმჩნეველი. ლენა ბიბილაშვილი სხვადასხვა დროს დაჯილდოვდა „შრომის წითელი დროშის", „საპატიო ნიშნის" ორდენებით, მედლებით.

შრომაში მოწინავე, საზოგადოებრივ საქმიანობაშიც აქტიურია. სანიმუშო დახლიდარი არჩეულია პარტიის გორის რაიკომის წევრად, გორის რაისაბჭოს დეპუტატად, ცეკავშირის რესპუბლიკური საბჭოს წევრად.

სულ ახლახან კიდევ ერთი სასიხარულო ამბავი მოხდა ლენა ბიბილაშვილის ცხოვრებაში — საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის დელეგატად აირჩიეს. იგი დიდი გულისყურით გაეცნობა პარტიის დავალებებს და ეცდება თავის პატარა უბანზე ყველაფერი ისე გააკეთოს, როგორც ამას პარტია მოითხოვს.

ნ. ნუცუბიძე.



სურათზე: ლ. ბიბილაშვილი.
ვ. გენგიურის ფოტო.

---

**გაგრაში** ხალხთა მეგობრობისა და ძმობის მუზეუმის შექმნის ინიციატორების მიმართვამ ფართო გამოხმაურება ჰპოვა ორმოცეროვანი ქალაქის თითოეული მცხოვრების გულში. იგი გაისმა ჩვენი ეროვნული და პატრიოტული ერთიანობის ჰიმნად.

ხალხთა მეგობრობისა და ძმობის მუზეუმის შექმნა ხორციელდება იმ ღირსსახსოვარ დროს, როცა რესპუბლიკა უდიდესი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობით ეგებება საქართველოს კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობას, ემზადება სკკპ XXVI ყრილობისათვის, სიხარულით მოელის საქართველოსა და აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების, საქართველოს კომპარტიის შექმნის მე-60 წლისთავის ნათელ იუბილეს. ასეთი პროფილის მუზეუმის შექმნა ხელს შეუწყობს ხალხთა ძმობისა და მეგობრობის შემდგომ განმტკიცებას, მშრომელთა, განსაკუთრებით ახალგაზრდობის აღზრდის გაუმჯობესებას, დიდ სამსახურს გაუწევს სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ მშენებლობაში ქალაქ გაგრის მრავალეროვანი მოსახლეობის ერთობლივი შრომითი წარმატებების ფართო და ღრმა პროპაგანდას.

— მისი სიკეთის შუქი შემოიჭრება ჩვენს ბზიფშიც, და ჩადგება მწყობრში, — გვეუბნება სოფლის თავკაცი, საბჭოთა მეურნეობის დირექტორი აკაკი ყარამანიშვილი. — ჩვენი სოფლიდანაც იქ გაგზავნილი რელიქვიები — შრომის, ბრძოლის, ძმობა-მეგობრობის ამსახველი ნივთები, წერილები, ფოტოსურათები თავის ადგილს დაიკავებს მომავალი მუზეუმის სტენდებზე, დარბაზებში. შეუძლებელია მუზეუმში არ წარმოჩინდეს უძველესი და უჭაბუკესი აფხაზური ბზიფიც.

ამ საუბარში გზა ავიარეთ. ჩვენს წინ გადაიშალა ბზიფის კალინინის სახელობის საბჭოთა მეურნეობის ავტოსატრაქტორო პარკი.

— აი ამ პარკის ფიზიკური მწარმოებლობა, — განაგრძობს დირექტორი, — მოგეხსენებათ, ცხენის ძალით განიზომება. იმ მუზეუმის ძალას ვერაფრით გაზომავ, სულიერ ძალას საზომი არა აქვს...

— ჩვენი უახლოესი გეგმით, — ჩაერია საუბარში მეურნეობის ინჟინერი, სამშენებლო ბრიგადის ხელმძღვანელი შოთა გარუჩავა, — მოხდება ამ პარკის რეკონსტრუქცია.

— ო, ჩვენს მშენებლებს საშური საქმე აქვთ—პარკის რეკონსტრუქცია, საბავშვო ბაგა-ბაღის აგება. ბავშვებს კი რძე უნდათ — საძროხე უნდა ავაშენოთ ასი სული ძროხისათვის... გატყობთ, არ მოგწონთ ჩვენი ეზო-მიდამო. მშენებლებს გეგმაში აქვთ კეთილმოაწყონ იგი, ბზიფს და ბზიფლებს რომ ეკადრებათ, ისე...

ჩვენ დაველოდეთ სხვა მანქანას, დათქმული ადგილისაკენ კი გაუყვნენ ჩვენი თანამგზავრები, რათა იქ შევხვდეთ. მივდივართ მძიმე-მძიმედ. სადაცაა მანქანა უნდა წამოგვეწიოს.

უეცრად შემოგვესმა ყმაწვილის ხმა სოფლის გზის ქვემოდან: — ოვანეს!.. — ეძახდა იგი თანატოლს. ამასობაში წამოგვეწქროლა ერთმა თმააჩეჩილმა, ათიოდე წლის ბიჭუნამ, ჩანდა, იმან, ვისაც ქვემოდან მოსძახოდნენ. ნარბენმა სუნთქვა რომ მოიწესრიგა და ჩანთა მხრიდან გადმოიღო, ოფლით დაცვარული შუბლი მოიწმინდა, უცნობთა პატივისცემის ნიშნად ნაბიჯი შეანელა, მოგვხედა, მზეს თვალი მოუჭუტა, შევეკითხეთ:

— Ну, Ованес, в каком ты классе?

— ვკითხეთ რუსულად, რაკი სომხური არ ვიცოდით.

ბიჭუნამ მორცხვად აგვხედ-დაგვხედა, გაიღიმა, მძივებივით ჩამწკრივებული თეთრი კბილები გამოუჩნდა.

— ვ კაკომ კლასე და, მესამეში ვარ, — გვითხრა მან და წელზე მოხვია ხელი ქვემოდან წამოსწრებულ, გვერდით მდგარ თანატოლს, ცნობისმოყვარეობით რომ მოგვჩერებოდა. — ერთად ვსწავლობთ.

— ბიჭოს, რუსულიც გცოდნია და ქართულიც. რა გვარი ხარ, ოვანეს?

— შონია.

— შონიანი ხომ არა?

— შონიანი არა ვარ მე, შონია ვარ, კოტეს შვილი, მეოთხე ბრიგადაში რომ მუშაობს.

ღიმილი გაუკრთა ბიჭუნას, გაკვირვება რომ შეგვატყო, და სერიოზული გამომეტყველება მიიღო:

— უფროს ძმას ლევანი ჰქვია, მეექვსე კლასშია, მარგალიტადაიკო ჯერ პატარაა, სკოლაში არ დადის. — ცოტა ხანს დაფიქრდა. — „გიქორი" რომ დაწერა, იმ მწერლის სახელი მქვია.

— სკოლა ახლოს გაქვთ? რიგიანი სკოლაა?

— ახალია. ახლახან აგვიშენეს. ქართული სკოლაც არის სოფელში, აფხაზურიც, რუსულიც... სომხურიც, რა თქმა უნდა.

ამ საუბარში, ვილაცამ ზედ ჩვენს ახლოს დაამუხრუჭა „ჟიგული", კარი გაიღო და გადმოვიდა შავგვრემანი, ჭაღარაშერეული მამაკაცი. მოგვიახლოვდა, ღონიერი, კოჟრიანი, მუშაკაცის ხელი ჩამოგვართვა:

— ...არტიმი, პაშიანი!.. ვატყობ, ზემოთ მობრძანდებით. გთხოვთ მანქანაში! — მერე ბავშვებს გასძახა: — შინ გაეშურეთ, გაკვეთილების მიხედეთ... შვილიშვილია ერთი, — მოგვმართა ახლა ჩვენ, დასძრა მანქანა, — თქვენ რომ გესაუბრებოდათ ოვანესი... ორი სხვაც მყავს. არდადეგებზე ბიაში არიან, ხობთან, მამაპაპისეულ სახლში, იქ მამიდა ჰყავთ, ნაზიკო შონია. იქით ბიძები, შალვა და რეზო შონიები ეწიწებიან ცხაკაიაში, ზუგდიდში უმცროსი ბიძა — ანატოლი... კოტეს იცნობთ, ჩემს სიძეს, შონიას?

— აი, ახლა ავდიოდით მასთან, მეოთხე ბრიგადაში მიგვასწავლეს.

— მეოთხეშია, კი, სახლ-კარიც იმავე ბრიგადის ტერიტორიაზე აქვს; შეძლებულად ცხოვრობს, ტონა-ნახევარი მარტო მანდარინი

---

**კოლმეურნეობის** გამგეობის სხდომაზე ცხარე კამათი გაჩაღდა კოლმეურნეობის პირუტყვის მოვლა-პატრონობის შესახებ. ვერ იქნა და ზარალს ვერ დააღწიეს თავი. ამიტომაც არჩევანი ხან ერთ ბრიგადირზე ჩერდებოდა ხან მეორეზე. ბოლოს ერთმა თქვა: მოდით, ვინც ყველაზე მოწინავეა, მეცხოველეობაში ის გავუშვათო.

— მერე, სპეციალობა? — ეჭვი გამოთქვა მეორემ.

— აქ იმდენად სპეციალობა არ არის საჭირო, რამდენადაც აღრიცხვის მოწესრიგების სურვილი, ორგანიზატორული უნარი.

— მაგ მხრივ მართალს ამბობ.

— მაინც, ვინა გაქვს მხედველობაში?

—ვასილ გაბოშვილი, ტექნიკუმი აქვს დამთავრებული და...

ვასილ გაბოშვილი გამგეობის სხდომაზე გამოიძახეს.

— ნდობისათვის დიდი მადლობა, — თქვა ვასილმა, — მაგრამ მე ასე ნაუცბათევად ვერ დაგეთანხმებით. ფერმა უნდა ვნახო. იქნებ მწყემსებს ბინები არა აქვთ, პირუტყვს — სასმელი წყალი, არც ელექტროსინათლეა გაყვანილი. აბა, უდეს მთებში ბალახი რომ არის, ყველამ იცის.

— კოლმეურნეობის გამგეობის წევრები სახტად დარჩნენ, ხმას ვერ იღებდნენ. ან რა უნდა ეთქვათ, როცა ყველაფერი, რაზეც ვასილი ლაპარაკობდა, სრულიად მიუხედავი იყო. ბოლოს თავმჯდომარემ უთხრა:

—. შე დალოცვილო, მეცხოველეობის ბრიგადაში ყველაფერი რიგზე რომ იყოს, შენ კი არ დაგიძახებდით. ბარე 10-15 კაცში ამოგარჩიეთ. ყველაფერი, რასაც შენ ამბობ, გასაკეთებელია, ახლა მიზეზებს ძებნა რომ დავუწყოთ, რატომ არ გაკეთდა, ვინ არ გააკეთა, შორს წაგვიყვანს. კომუნისტი კაცი ხარ, ჩვენი აქტივი, მოჰკიდე ხელი, ჩაუდექი. სათავეში, ხალხსაც გამოგიგზავნი, სატვირთო მანქანასაც და, რაც საჭიროა, მოვაგვაროთ. ფერმა ფეხზე უნდა დავაყენოთ, სანამ საზაფხულო იალაღებზე იქნებით, ბარშიც მივხედავთ ფერმის შენობებს.

მწყემსებმა გიორგი ბალახაშვილმა, სიმონ და ალექსი ხეჩაშვილებმა, სტეფანე ბალახაშვილმა და სხვებმა ბინებისათვის საჭირო ხე-ტყე დაამზადეს. ტრაქტორისტებმა ლაზარე და ნოდარ მერაბიშვილებმა მორები ადგილზე მიიტანეს და დაიწყეს ფინური ტიპის სახლის მშენებლობა. რამდენიმე დღეში მწყემსები დაკრიალებულ ბინაში შესახლდნენ.

—ოთახები საუცხოოა, მაგრამ ამ წყალს რომ ვერაფერი ვუშველეთ, პირუტყვი აჭარის მთებში გადაგვიდის დასარწყულებლად.

— რამდენი კილომეტრია ხევის წყალამდე, — იკითხა ვასილმა.

— ათი!

— რელიეფი? ოღრო-ჩოღროა?

— რელიეფი რა, ბილიკი მიდის. იმ წყლის აქეთ გადმოგდება შეუძლებელია, ღრმა ხევი ჩასდევს, პირუტყვი ძლივს ჩადის.

— აქეთ გადმოგდებას არც მე ვფიქრობ, მაგრამ კაპრონის მილები შემოსულა ხმარებაში, ოღონდ დაქანება ჰქონდეს, სადაც გინდა იქ მიიყვან წყალს.

— ჰო, მაგ ხევის სათავეში დიდი ცივი წყარო გადმოსჩქეფს, იქ თუ შევუერთებთ, წყალი ჩვენს ფერმასთან ჩუხჩუხით წამოვა.

— ჩუხჩუხისა რა მოგახსენოთ, მაგრამ პირუტყვი დღეში სამჯერ რომ დალევს წყალს, ეს კი ვიცი.

სიტყვას საქმე მოჰყვა. უდეს მთებში, აჭარის მხარეს ველმინდვრებზე კაპრონის თეთრი ქამარი გაიჭიმა, რომელშიც მაღალი ქედების ნაკური კამკამა წყარო მოწყურებული ნახირისაკენ მართლაც ჩუხჩუხით დაეშვა. ბრიგადირი კი უკვე სხვა რამეზე ფიქრობდა: როგორ მუშაობენ მეზობელი ახალქალაქის რაიონის სოფელ ბურნაშეთის მეცხოველეები პირუტყვის ინტენსიურად გასასუქებლად. ისინი ხომ ამ მხრივ მესხეთში ყველაზე მოწინავედ ითვლებიან! და აი, ვასილის ინიციატივით კოლმეურნეობის მთავარი ზოოტექნიკოსი არტემ აზირაშვილი, პროდუქტიული პირუტყვის ფერმის გამგე გიორგი მერაბიშვილი და ბრიგადის ბრიგადირი ვასილ გაბოშვილი ბურნაშეთს ეწვივნენ. ადიგენელი სტუმრები გულთბილად მიიღეს ბურნაშეთელმა კოლეგებმა. კოლმეურნეობის თავმჯდომარემ აშოტ მინასიანმა დაათვალიერებინა ფერმები, უამბო, რომ ისინი ხბორების გასუქებას 6 თვის ასაკიდან იწყებენ. მანამდე ხბორებს შეარჩევენ ხოლმე, თუ სანაშენედ არ გამოდგება, ცალკე სადგომში გადაჰყავთ. იქ იწყება მათი ინტენსიური კვება და გასუქება. აშკარად იგრძნობოდა ისიც, რომ ბურნაშეთელთა პირუტყვი ჯიშობრივადაც საუცხოო იყო. მასპინძელმა ადვილად შეამჩნია ეს სტუმრებს და ხუთი სული საჯიშე ბუღა საჩუქრად გამოუგზავნა უდეს კოლმეურნეობას.

## თავკაცის სიტყვა და საქმე

### როგორ გახდა კოლმეურნეობაში მეცხოველეობა რენტაბელური

— ძალიან ბევრს გვავალებთ, ჩვენ რითღა დაგეხმაროთ? — მოკრძალებით უთხრა უდეს კოლმეურნეობის ზოოტექნიკოსმა აშოტ მინასიანს.

— ჩვენი გასაჭირო ყველამ იცის, — მოავლო თვალი თავმჯდომარემ ბურნაშეთის გარშემო უტყეო, ლოდებითა და ქვა-ღორღით მოფენილ მთაგორებს, — ისედაც მიხვდებით.

— ხე-ტყე? ეგ ჩვენზე იყოს, სხვას ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ჩვენი საკოლმეურნეო ტყეებიდან დაგეხმარებით, მიუგეს სტუმრებმა და მართლაც ხშირად ნახავთ უდეს ტყიდან ტრაქტორებზე გამობმულ მორებს, რომლებიც ბურნაშეთისაკენ მიაქვთ.

კოლმეურნეობის პარტიული კომიტეტის სხდომა იყო. პარტიაში მისაღებთა კანდიდატურების განხილვისა და მათთვის საერთო კრებაზე განსახილველად რეკომენდაციის მიცემის შემდეგ მოისმინეს ინფორმაციები მიმდინარე სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების შესახებ.

— ყველაფერი ასე ჩახატულ-მოხატული არა მგონია იყოს, — შენიშნა პარტიული კომიტეტის მდივანმა კოლმეურნეობის მთავარ აგრონომს. — მე გამოვიარე სესელაურის მინდვრებზე და ჭარხალი ბალახში არა ჩანდა. ალბათ არც სხვაგან იქნება უკეთ საქმე. ამიტომ ჩემი წინადადებაა ჭარხლის ნათესების მოვლა-პატრონობის შემოწმება დაევალოს პარტიული კომიტეტის წევრს ვასილ გაბოშვილს. გასაგებია ვასილ? წაიყვანე ორი კომუნისტი და ოპერატიულად შეამოწმეთ. ვასილ გაბოშვილმა ნაკვეთებში სხვა კომუნისტების წაყვანას, ისევ მეხუთე და მეცხრე ბრიგადების პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების გურამ მერაბაშვილისა და პეტრე ბალახაშვილის წაყვანა არჩია. სესელაურის მინდვრებზე ჭარხლის ნათესები მართლაც ძალზე ცუდად იყო გათოხნილი.

— ეს საქმეა? ასე გათოხნა შეიძლება? — აღშფოთებას ვერ ფარავდა ვასილი.

— რა ღმერთი გაუწყრათ, — უკვირდათ კომისიის წევრებს, — პირველად ხომ არ თოხნიან, ყველას საყვედური უნდა ვუთხრათ.

პარტიული კომიტეტის სხდომაზე პრინციპული შეფასება მიეცა მეხუთე და მეცხრე ბრიგადების ხელმძღვანელების მუშაობას. ჭარხლის ნათესები ხელახლა გათოხნეს, მაგრამ როგორც ითქვა — შრომის აუნაზღაურებლად. ჭარხლისა და სხვა ბოსტნეული კულტურების ნათესების დამუშავებისადმი უკონტროლობისათვის მეხუთე ბრიგადის ბრიგადირს კომუნისტ პავლე კაკაშვილს საყვედური გამოუცხადეს. ხოლო მეცხრე ბრიგადის ბრიგადირს, კომუნისტ იოსებ აფრიამაშვილს მიეთითა...

ბევრი შესანიშნავი დღე ახსოვს ვასილ გაბოშვილს. თუნდაც, მისი გოგონა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სავაჭრო ეკონომიკის ფაკულტეტზე რომ ჩაირიცხა. თუმცა, მანამდე ხომ მანანამაც დაამთავრა თბილისის ფარმაცევტული ტექნიკუმი და ახლა რაიონის აფთიაქში მუშაობს. ვაჟმა გასულ წელს საშუალო სკოლის ატესტატი მიიღო. ესეც დიდი ბედნიერება იყო მშობლებისათვის. ასეთი ბედნიერი დღეები არა მარტო ოჯახში, შრომაშიც ბევრი თენდება. მათგან ზოგიერთი მომენტი განსაკუთრებით დაუვიწყარია:

— სამოცდაჩვიდმეტი წლის თებერვალი იყო, — ამბობს ვასილი, — კარგად მახსოვს, 6 თებერვალი. ჩვენს რაიონს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხანაგი ედუარდ შევარდნაძე ეწვია. მან დაათვალიერა ჩვენი ფერმები და ძალიან ესიამოვნა, რომ ყველა სადგომი კარგად იყო მოწყობილი, მწყემსების სამყოფელიც მოეწონა. მართალია, იქ სხვა ამხანაგებიც იყვნენ, მაგრამ რატომღაც მე გამომელაპარაკა. ამან მე დიდად გამახარა, ფრთები შემასხა.

ხუთწლედი — ოთხ წელიწადში! ეს პატარა საჩუქარი როდია პარტიის XXVI ყრილობისათვის. მთავარი კი მაინც ის არის, რომ ადიგენის რაიონის სოფელ უდეს რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის მეცხოველეებმა შეძლეს ზარალიდან თანდათანობით მოგებაზე გადასულიყვნენ. ორიოდე ციფრი. ტონა ხორცის თვითღირებულება 1975 წელს 284 მანეთი იყო, 1979 წელს იგი 244 მანეთამდე შემცირდა. თუ გავითვალისწინებთ რომ კოლმეურნეობა ყოველწლიურად სახელმწიფოს აბარებს 150 ტონა ხორცს, მაშინ ხუთწლედში 30.000 მანეთით შეუმცირებიათ წარმოებული ხორცის თვითღირებულება.

— ჩვენ ეს არ გვაკმაყოფილებს, მეთერთმეტე ხუთწლედში კილოგრამი ხორცის თვითღირებულება უფრო უნდა შევამციროთ, — ამბობს კოლმეურნეობის თავმჯდომარე პავლე მერაბიშვილი.

— მაინც რა მიგაჩნიათ მეცხოველეობის რენტაბელობის მთავარ საფუძვლად?

— ძირითადი მიმართულების პროექტში საკითხი ასე დგას, — განაგრძო თავმჯდომარემ, — უნდა მოხდეს სპეციალიზაცია. გვეყოლება მხოლოდ მეწველი და სანაშენე პირუტყვი. მეორეა მექანიზაცია. ამჟამად ფურების წველის გარდა დანარჩენი ყველაფერი მექანიზებულია. მესამე, პირუტყვის ჯიშობრივი გაუმჯობესებაა. უკვე შემოვიყვანეთ კუზური ჯიშის — ზებუს პირველი წყვილები. მათი შეჯვარება ხდება კავკასიურ წაბლა ფურებთან, ამას დიდი უპირატესობა აქვს. ზებუს ნაჯვარი დიდი ტანისა იზრდება. ეს კი უკვე ხორცის სიუხვეს ნიშნავს. რძის ცხიმიანობა, სულ მცირე 10 პროცენტით მატულობს და რაც მთავარია ზებუ ეპიდემიის მიმართ გამძლეა, ავადმყოფობა არ ეკარება, ღებულობს ყველა სახის საკვებს.

მეცნიერები პრაქტიკოსებს გვერდიდან არ იცილებენ. ფერმის გამგე გიორგი მერაბიშვილთან ერთად ხშირად ნახავთ ხბორების ფერმის ბრიგადირს კომუნისტ ვასილ გაბოშვილს, რომელიც თავის დაკვირვებას, გამოცდილებას უზიარებს მათ.

სხვა მრავალ მიზანს შორის ვასილს ერთი მიზანიც აქვს: სულ მალე უდეს მთებში ისეთი საკოლმეურნეო ნახირი გაიშალოს, რომელიც კიდევ უფრო პროდუქტიული იქნება, კიდევ უფრო მეტ ბარაქას მოუტანს მისი და მისი კოლეგების ოჯახებს, კოლმეურნეობას, სახელმწიფოს. ვასილი ამ ფიქრებში ათენებს და ღამებს. გულთან მიტანილი საქმე, ამ საქმის წინსვლაზე ფიქრი და ოცნება, რწმენა, როგორც ამბობენ, დიდ გამარჯვებათა მაუწყებელია.

ხ. არჩემაშვილი.

# ...სამშობლო!

## უპირველეს ყოვლისა

...მული არიან ბზიფელთა პრობლემების, უპირველეს ყოვლისა, ...ყვის პრობლემის უახლოეს ხანში გადასაჭრელად. უგზოობას უჩიოდნენ — გზა უკვე გაყვანილ-გაფართოებულია; სკოლის სიშორეს სწუხდნენ, ავტობუსია დანიშნული; მალე წრიულ გზას გაიყვანენ — ავტობუსი სამჯერ შემოუვლის მას. სოფელი ინდუსტრიულიც ხდება — აქ არის ხორცკომბინატი, პურის ქარხანა, ლიმონათის ქარხანა, იქვეა სახლთმშენებელი კომბინატი, შენდება საკონსერვო ქარხანა, ჩნდება მუშათა კლასი. ძეგლ-მემორიალებით უკვდავყოფილი იქნება საბჭოთა ხელისუფლებისათვის მებრძოლთა, დიდ სამამულო ომში დაღუპულ თანასოფლელთა ხსოვნა...

და დარჩა ბზიფში უზარმაზარი სიყვარული, იმედი, რწმენა, სიმხნევე...

ერთი მოხუცი გაგვეცნო, აფხაზი. სამწუხაროდ, მას სხვა ენა არა სცოდნია, ამიტომ ის ჩვენი ნაცნობი სომეხი — არტიმ პაშიანი (იგი საუკეთესოდ ფლობს მოძმეთა ენას) გვითარგმნიდა აფხაზის ნაამბობს:

— ძალიან მეჩქარებოდა; მაგრამ ქალაქკომში მაინც შევიარე, არავის არ ვკითხე, ისე შევაღე პირველი მდივნის კარი. ლამაზი, ჰყიანი, კარგი ახალგაზრდა კაცია, სერიოზულად უძღვება საქმეს. ჩაფლული იყო მუშაობაში, მაგრამ არც მე ვიყავი მოცლილი, მოკრძალებით მივესალმე. ვუთხარი ნუ შეგეშინდებათ, არაფრის სათხოვნელად არ მოსულვართ-მეთქი, ბზიფიდან ჩამოვედი, რომ მადლობა გითხრათ ყველაფრისათვის, გაუმარჯოს პარტიას-მეთქი, და სწრაფადვე გამოვბრუნდი. რომ არ შემეწუხებინა. იცით, არ შემეძლო გულში შემენახა ეს სათქმელი. ჯერ სართული არ ჩამეთავებინა, ვიღაცის ხელები ვიგრძენი მხრებზე. მოვხედე—ჩვენი მდივანი—გაღიმებული, გახარებული. არ შეგვიძლია ჩვენ სტუმრის ასე გაშვება, წავიდეთ, პური უნდა გავტეხოთო... ორი კაციც თან გამოჰყოლებია. არა-მეთქი, მადლობით ვუთხარი. პური ჩემთან უნდა გატეხოთ, თიკანსაც დაგიკლავთ-მეთქი. მაშინ, ჯერ არაო,

# ...გული

ჯერ არ გვაქვს მთლად დამსახურებული ესაო, მითხრა. ბზიფში ჯერ კიდევ ბევრი რამ გვაქვს გასაკეთებელიო, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი გვავალებს ამას, პარტიის საოლქო კომიტეტის მუდმივი კონტროლის ქვეშ არის ეს საბზიფო საზრუნაოებიო. აბა, ასე იყო,—დაამთავრა მოხუცმა.

— ბევრი რამ ვნახეთ, ბევრი გავიცანით, ბევრიც მოვისმინეთ. ოჯახი კი არც ერთი არ გვინახავს! — გვეუბნება გზაში „ვოლგის“ საჭესთან მჯდომი აკაკი ყარამანიშვილი.

— ოჯახში უნდა ინახოს შრომის შედეგი, შევიხედოთ უნდა რომელიმეშიო, — დაუდასტურა დირექტორს ახალგაზრდა კაცმა, მეურნეობის მთავარმა აგრონომმა მიხეილ ბგანბამ.

მანქანაც მიადგა ოჯახს. სტუმართმოყვარეობა ჭიშკრიდანვე იწყება — ლამაზად შეღებილი, იგი ფართოდ იღება. წინ ფიანდაზად გვეშლება მწვანედ მობიბინე განიერი მინდორი. გვეგებება მშვენიერი გლეხის ქალი, არცთუ ახალგაზრდა; რატომღაც ძაძებშია, მაგრამ კეთილი, გულიანი ღიმილი სახიდან არ სცილდება. ქართულ-რუსულ-აფხაზური სტუმართმოყვარული, თავაზიანი სიტყვებით ორსართულიანი სახლისკენ მიგვიძღვის. იქვე ახლოს, თითქმის გვერდით, გაუყოფელ ეზოში მეორე მაგნაირი ორსართულიანი სახლიც დგას — უმცროსი ვაჟი დაუქორწინებელია, ცოლს შეირთავს, განზე გავა, მოხუცს არ შეუწუხებენ. დიასახლისი ეს ორი წელია დაქვრივებულა. უფროსი ვაჟი, კვების ტექნოლოგი, ცოლთან და ორ შვილთან ერთად მოსკოვში ცხოვრობს.

ფოსტალიონმა კვალდაკვალ შემოგვდია ეზოში — ორი წერილი შემოიტანა, ერთიც უწყებაა — ამ უწყებით სასამართლო სხდომაზე უხმობენ ოჯახის უმცროს ვაჟიშვილს — ბზიფის სასოფლო საბჭოს დეპუტატს, ხის დამმუშავებელი კომბინატის ოსტატს — ვალერის, როგორც სახალხო მსაჯულს. ეს ერთი წერილი მოსკოვიდან არის, მილოცვისაა, უფროსი ვაჟიშვილისაგან, მეორე წერილი ქალაქ უსტ-ილიმსკიდან არის. ოჰ! იქ, ვინღა ჰყავთ — ადრესატი არ არის მითითებული. გაკვრით აწერს სახელს — ჩანს შეყვარებულია ვინმე.

ამასობაში, სულ ხუთიოდე წუთში, გამოჩნდა დიასახლისი დატვირთული ხონჩით — შემწვარით და მოხარშულით, დოქით — ღვინო, იზაბელა.

— მობრძანდით, მობრძანდით, სუფრასთან.

— გაიცანით ჯერ, — ახლაღა ხერხდება ეს, — ეს არლანია, ალექსანდრა მასის ასული, — გვეუბნება დირექტორი.

გაფართოვდა კედლები, ამაღლდა ჭერი.

ილება ჭიშკარი და თეთრი დოქით მეზობლის ქალი მოჰქრის. ერთის სტუმარი აქ ხომ ყველას სტუმარია!

— იქნებ, ეს ღვინო გესიამოვნოთ, — შემოდგა ქალმა შეცვალილი დოქი. — ვალენტინა შვანბა-ბარციცი, — გაგვეცნო იგი. ექვსი შვილის დედა ყოფილა.

მთელი დღე გვახლდა მიხეილ ბგანბა და ახლაღა გავიგეთ, რომ მისი ძმა რასიმი, თურმე, ამ სოფელში ცხოვრობს, რომ იგი მიხეილს შეუცვლია მთავარ აგრონომად ბზიფის კალინინის სახელობის საბჭოთა მეურნეობაში, თვითონ რასიმი ლიძავის კოლმეურნეობა „კიარაზის“ — ამ ინტერნაციონალური პარტიზანული რაზმის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ დაუწინაურებიათ. ისიც აქვე გავიგეთ, რომ რასიმი აფხაზეთის საოლქო პარტიულ კონფერენციაზე საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის დელეგატად არის არჩეული.

მეგობრობისა და ძმობის გრძნობით აღსავსეა ბზიფელთა ცხოვრების მაგალითები:

ძმა მოუკვდა გაზეთ „ავანგარდის“ რედაქტორს ზაკან აგრბას. მაგიერ ძმად მან ბზიფელი დურგალი, სვანი არონ ხარძიანი აღიარა. არონის დაი, თამარი რომ გათხოვდა, ქორწილს ზაკანი თამადობდა. აფხაზი ალიოშა თარბა ცოლს ეუბნება: გალუსტ კეშებიანს სახლი უნდა გადავუხუროთ. კეშებიანებს სადილის კეთების თავი არ ექნებათ, მოამზადე, შუადღეზე ყველანი აქ ვიქნებითო. აფხაზმა და სომეხმა ძმებმა ერთად ისადილეს; ხუთი ბავშვის მამას, აფხაზ აკაკი ბეგვავას ახალი სახლი აუგეს თანასოფლელებმა. შაბათობებზე სახუროო საქმეს არონ ხარძიანი და სამი სხვა კაცი უძღოდა, ამ ახალმოსახლეობას დაესწრო აკაკი ყარამანიშვილი.

ერთ საქმეს ემსახურებიან მეურნეობის ქართველი დირექტორი აკაკი ყარამანიშვილი, პარტკომი — სომეხი მესროპ გალუსტოვი, მთავარი აგრონომი — აფხაზი მიხეილ ბგანბა, მთავარი ეკონომისტი — ბერძენი ალექსი კრეჩუნი, კომკავშირის კომიტეტის მდივანი ვახტანგ ქვაჩახია, პროფკავშირის თავმჯდომარე ჰოჰიკო ხიშბა, ბუღალტერი აკოფ ხაჩრიანი. მეურნეობის სული და გულია სანერგის ბრიგადირი — აფხაზი გიორგი კეტია. მასთან ძმურად შრომობს სვანი რაჟდენ მუშკუდიანი, რაჭველი თინა გოდერიძე, სომეხი ნადია კარაკიანი... სხვა ბრიგადაში სომხების, აფხაზების, ქართველების გვერდით იღწვის რუსი ამხანაგი ნიკოლოზ ლევჩენკო, რაღაც მუსიკასავით ჩაგვესმა არონ ხარძიანისა და ვალერი კუტარბას მუსაიფი... სვანურად. აფხაზ კუტარბას ხომ ცოლად სვანი სამსიანი ჰყავს.

ინტერნაციონალური გრძნობა ზეიმობს ბზიფის საბჭოთა მეურნეობაში. ცხრა ბრიგადიდან ერთის ბრიგადირია სომეხი გრანტ მატულიანი, მეორისა — აფხაზი ბესარიონ საბუა, მერე მოდიან ბრიგადირები სვანი ქალდანი, რაჭველი ბერელიძე...

დღეს ბზიფში რომ ჰკითხოთ ვინმეს, — „ხომ მეგობრობთო“: — რა ეროვნებისაც უნდა იყოს იგი, უხერხულად იგრძნობს თავს, უადგილოდ ჩათვლის შეკითხვას, როგორც უადგილოდ ჩაითვლება შეკითხვა — „ხომ სუნთქავთ?“. ბზიფელისათვის ძმობა და მეგობრობა ისეთი აუცილებელი კომპონენტია, როგორც სუნთქვა — სიცოცხლისათვის. ორი ათასი აფხაზი, ამდენივე ქართველი და ამდენივე სომეხი, სამი ათასზე მეტი სხვადასხვა ეროვნების შვილი, სულ ათი ათასი ბზიფელი, ეს თითქოს მინიატიურული საქართველოა, მრავალეროვანი საქართველო. თითოეულს თავი იმით კი არ მოაქვს, რომ სხვა ეროვნების შვილს ემტრო, არამედ იმით, რომ ეძმო მას; თითოეული მტრობს ყოველივე ამორალურს, — თუ გამოჩნდება ასეთი რამ! — ანტისაზოგადოებრივს, ნეგატიურს, ვისგანაც უნდა მოდიოდეს იგი. აფხაზს, ქართველს, სომეხს, რუსს, ბერძენს, ერთ საზოგადოებაში გაერთიანებულს, ჰყავს ერთი საერთო მტერი — ანტიპოდი. თითოეულმა შეგნებულმა ბზიფელმა იცის, რომ არ შეიძლება ცხოვრობდეს საზოგადოებაში და იყოს საზოგადოებისაგან თავისუფალი. იყვნენ საზოგადოებისაგან თავისუფლების მოსურნე სუბიექტები, ცეცხლწამკიდებლები, მაგრამ ასეთებისათვის მუდამ მზად არის ისეთი ცეცხლმქრობი, როგორიც ჭეშმარიტი მეგობრობაა!

გაგრაში მოგვაცილა ყარამანიშვილმა. ჩამოვედით მანქანიდან. შთაბეჭდილებათა ზღვა ღელავს ჩვენში. ყველაფერზე ამაღლებული, რაც ვნახეთ — შენებაზე, შრომაზე, ცხოვრებაზე ამაღლებული მაინც მეგობრობა და ძმობა შეიქნა, როგორც საძირკველიც და მწვერვალიც ყველა სიკეთისა.

თითქოს უეცრად აღმართულაო, ახლაღა შევნიშნეთ ჩვენს შორიახლოს, ზღვის მხარეს ცათამბჯენი ნაგებობა.

— ეს რა შენობაა? — ვეკითხებით აკაკის.

— ო, ეს „ენერგეტიკოსი“ გახლავთ, უკეთესთა შორის უკეთესი პანსიონატი...

ამ საუბარში, ცათამბჯენის ალაყაფიდან უცხო კაცი ნელი ნაბიჯით გამოვიდა, ჩემოდანი დადო, ბეწვიანი ქუდი მოგვიხადა და მოკრძალებით მოგვესალმა:

— ერთი მეირმე კაცი ვარ, ტუნდრიდან. ვხედავ, შეგნებული ადამიანები ხართ, და მსურს გული გაგიხსნათ. მივემგზავრები და თან მიმაქვს „პანსიონატის“ ორასკაციანი მომსახურე პერსონალის სიყვარულის სითბო. ჩანს, ეს სითბო მათ გადაეცათ თავიანთი ხელმძღვანელების — ქართველ სერგი მაქსიმეს ძე შელიას და აფხაზ ზაურ ალექსის ძე ლაკობას გულიდან...

ჩვენ სიამაყის გრძნობა დაგვეუფლა, რომ ქართველისა და აფხაზის ძმობით შექმნილი ფსიქოლოგიური კლიმატი უერთდება ზღვისა და მთის კეთილისმყოფელ ჰავას და ტუნდრაში მიაქვს კაცს — კოლმეურნე მეირმეს მადლობა გაგრიდან, ამ მრავალეროვანი ქალაქიდან, რომლის მთელი არსების უმთავრესი სახე, როგორც ჯანმრთელობის კერისა, ქართულ-აფხაზური, საბჭოური მასპინძლობაა.

ვტოვებდით ბზიფს, გაგრას, და ჩვენთვის კვლავ ჟღერდა გაგრის პარტიული აქტივის კრების საპატიო ტრიბუნიდან მოსმენილი მგზნებარე სიტყვები:

— ჩვენი თაობის საქმეა დაასრულოს შენობა, რომლის სახელია ხალხთა ძმობა და მეგობრობა!

**ვ. თორდუა,**
**ი. გოგეჩია,**
„კომუნისტის“ სპეც. კორ.
ბზიფი.

---

## ფაქტები ◻ მოვლენები ◻ კომენტარი ◻ გამოხმაურება

საქდესისა და ახალი ამბების სააგენტოს კორესპონდენტები გვატყობინებენ

# საერთაშორისო დღეამინის ფურცზე ცხოვრება

**20 იანვარი**

## ფორუმი გაიხსნა

**ჰელსინკი.** აქ „ფინთეის“ სასახლეში გაიხსნა მშვიდობისათვის, დაძაბულობის შენელებისა და განიარაღებისათვის ახალგაზრდობისა და სტუდენტთა მსოფლიო ფორუმი. სხვადასხვა პოლიტიკური და იდეოლოგიური ორიენტაციის ახალგაზრდობის წარმომადგენელთა ამ ფართო შეხვედრაში მონაწილეობს ყველა კონტინენტის თითქმის 100 ქვეყნის ახალგაზრდობისა და სტუდენტთა ორგანიზაციების 500-ზე მეტი წარმომადგენელი, მათ შორის საბჭოთა ახალგაზრდობის დელეგაცია. მსოფლიოს ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლები იხილავენ თანამედროვეობის ყველაზე მწვავე პრობლემებს, რომლებიც მთელ კაცობრიობას აწუხებს, უწინარეს ყოვლისა, მშვიდობის განმტკიცებისა და ომის საშიშროების თავიდან აცილებისათვის ბრძოლის საკითხებს.

## „გეოდეზიური ფრენის“ საბაბით

**დელი.** ჩინეთის პროვოკაციული მოქმედება ინდოეთის საზღვარზე ინდოეთის საზოგადოებრიობის მზარდ შეშფოთებას იწვევს. უკანასკნელ ხანს, აღნიშნავს ინდიან პრეს ეიჯენსის საინფორმაციო სააგენტო, საგრძნობლად გახშირდა ჩინეთის სამხედრო-საჰაერო ძალების თვითმფრინავების მიერ ინდოეთის საჰაერო სივრცის დარღვევის შემთხვევები. პეკინი ცდილობს ეს „შემთხვევითობით“ ახსნას, ხოლო ჩინეთის თვითმფრინავების ფრენა ინდოეთის საზღვრის რაიონში — „გეოდეზიური კვლევის მოწყობად“. მაგრამ თავდაცვის დარგის ინდოელი სპეციალისტები მათ ჩინეთის საომარ მზადებას უკავშირებენ. შემთხვევითი როდია, რომ „გეოდეზიური ფრენის“ სერია ჩინეთის მხარემ განახორციელა ინდოეთის თავდაცვის ძალების თავმოყრის რაიონში.

ინდიან პრეს ეიჯენსი აგრეთვე აღნიშნავს, რომ ჩინეთმა მეტისმეტად გააქტიურა სამხედრო მზადება უკანასკნელი წლინახევრის მანძილზე სასაზღვრო პანგონგის ტბის რაიონში, სადაც თავს უყრიან ჩინეთის საბრძოლო ტექნიკის მნიშვნელოვან ნაწილს.

არცთუ ნაკლები პროვოკაციული ხასიათი აქვს პეკინ-ისლამაბადის სამხედრო ალიანსის განმტკიცებასაც. პაკისტანის ტერიტორიაზე ინდოეთთან საზღვრის რაიონში ზრდიან ჩინეთისა და პაკისტანის ჯარებს, აგებენ სამხედრო ობიექტებს, მათ შორის ელექტრონული დაზვერვის სადგურს.

## ირანის ამბები

### ფარული მანევრი

**თეირანი.** ამერიკელი მძევლები ირანში რჩებიან. როგორც ირანის მთავრობის ოფიციალურმა წარმომადგენელმა, ადმინისტრაციულ საქმეთა სახელმწიფო მინისტრმა ბ. ნაბავიმ განაცხადა, გუშინ ალჟირელმა შუამავლებმა ირანის წარმომადგენელს გადასცეს „ამერიკის ბანკების დანართი 11 ფურცლად“.

თანახმად ამ „დანართისა“, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მოითხოვა, რათა ირანმა უარი თქვას ყოველგვარ პრეტენზიაზე ამერიკის შეერთებულ შტატებში მის კუთვნილ ავუარებზე, იმ რვა მილიარდი დოლარის გარდა, რომელიც ვაშინგტონმა ივალდებულა გადარიცხოს ინგლისის ბანკში.

როგორც ნაბავიმ თქვა, აღნიშნული თანხა — 8 მილიარდი დოლარი ბანკებმა დაასახელეს ირანის მთელი ავუარების ღირებულებად. თუმცა გუშინ ხელმოწერილი დეკლარაცია მძევალთა განთავისუფლების თაობაზე ამგვარ დანართებს არ ითვალისწინებდა, დასძინა მინისტრმა.

„დანართს შეიძლება ვუწოდოთ ფარული მანევრი პრობლემის საბოლოო გადაწყვეტის დაბრკოლების მიზნით, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ამერიკის პრეზიდენტმა გამოსცა ბრძანებულება ამერიკის ბანკებში ირანის ავუარებზე ყადაღის მოხსნის შესახებ, განაცხადა ნაბავიმ.

# პროვოკაციული კამპანია

### ერევიან პოლონეთის საშინაო საქმეებში

**ნიუ-იორკი.** ამერიკის შეერთებული შტატების რეაქციული წრეები კვლავ გაძლიერებით ერევიან სოციალისტური პოლონეთის საშინაო საქმეებში და ცდილობენ ზემოქმედება მოახდინონ ამ ქვეყანაში მოვლენათა განვითარებაზე.

საქმე როდი ეხება მარტო ახლანდელი ადმინისტრაციის წარმომადგენლების, რეაქციული მოღვაწეებისა და დაჯგუფებების წამქეზებლურ განცხადებებს, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის გამო მასირებულ პროპაგანდისტულ კამპანიას, რომელიც პრესაში, ტელევიზიაში, რადიოში გაიშალა. ჩარევას სავსებით კონკრეტული ფორმები მიენიჭა. მაგალითად, როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო იუწყება, პოლონეთის ანტისოციალისტური დაჯგუფებანი, რომლებიც ისწრაფვიან ძირი გამოუთხარონ ქვეყანაში საზოგადოებრივ-პოლიტიკურ წყობილებას და შეასუსტონ მისი ურთიერთობა სოციალისტური თანამეგობრობის სახელმწიფოებთან, ფართო ნაკადად იღებენ სხვადასხვა ფულად „შესაწირავს“. დღეისათვის, სააგენტოს ცნობებით, ამ „შესაწირავმა“ 300 ათასამდე დოლარი შეადგინა.

„პოლონელი მუშების დახმარების“ პროვოკაციულ კამპანიას მეთაურობს პროფკავშირული გაერთიანების — ამერიკის შრომის ფედერაცია — საწარმოო პროფკავშირთა კონგრესის ულტრარეაქციული ზედა ფენა. ოფიციალური ვაშინგტონის მხარდაჭერით მის მიერ შექმნილმა სპეციალურმა „ფონდმა“ პოლონეთის ანტისოციალისტურ ძალებს 160 ათასი დოლარი გაუგზავნა.

ჯერ კიდევ გასული წლის აგვისტოში პრეზიდენტმა ჯ. კარტერმა და ამერიკის შეერთებული შტატების შრომის მინისტრმა რ. მარშალმა ამერიკის შრომის ფედერაცია—საწარმოო პროფკავშირთა კონგრესის თავმჯდომარესთან ლ. კერკლენდთან და საავტომობილო, აეროკოსმოსური მრეწველობისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის მუშათა გაერთიანებული პროფკავშირის თავმჯდომარესთან დ. ფრეიზერთან შეხვედრის დროს ურჩიეს მათ სასწრაფო ფინანსური და სხვა დახმარება გაუწიონ პოლონეთის ეგრეთ წოდებულ „თავისუფალ“ პროფორგანიზაციებს.

თვით პროფბოსები არც კი მალავენ ასეთი „დახმარების“ მიზნებს. იმავე ფრეიზერმა, ნიუ-იორკში გამოსვლისას, პირდაპირ განაცხადა, რომ „უშუალო კონტაქტის დამყარება ჯგუფებთან, რომლებსაც საქმე ისე მიჰყავთ, რომ გაითიშონ პოლონეთის გაერთიანებული პროფკავშირები, განამტკიცებს ამ ჯგუფების მდგომარეობას და გააძნელებს პოლონეთის მთავრობის ყოველგვარ ნაბიჯებს, რომელთა მიზანია პროფკავშირთა ერთიანობის შენარჩუნება“.

მკვეთრად გააქტიურა ამ ბოლო დროს საქმიანობა ამერიკის შეერთებული შტატების სხვადასხვა რეაქციულმა ემიგრანტულმა დაჯგუფებამ და ორგანიზაციამ, რომლებიც დიდი ხანია ძირგამომთხრელ საქმიანობას ეწევიან სოციალისტური პოლონეთის წინააღმდეგ. კერძოდ, ორგანიზაცია „პოლონიამ“, რომლის რიგებში გაერთიანებულია სახალხო პოლონეთის მოღალატენი, სხვადასხვა ჯურის ემიგრანტთა ბრბო, მისი თავმჯდომარის თქმით, პოლონეთში უკვე გაგზავნა მნიშვნელოვანი თანხა. როგორც ასოშიეიტედ პრესი აღნიშნავს, გამალებული საქმიანობა განავითარა ზოგიერთმა სხვა ემიგრანტულმა ორგანიზაციამაც.

## პრესა ადასტურებს

# ვითარება ჩინეთში

**პეკინი.** ჩინეთში ვითარება კვლავ არ არის სტაბილური, რასაც მოწმობს პუბლიკაციები ჩინეთის პრესაში. გაზეთმა „ჟენმინ ჟიბაომ“ 17 იანვარს გამოაქვეყნა ვრცელი სტატია, რომელშიც მოსახლეობას მოუწოდებს „გამოიჩინოს „სიფხიზლე“ და „საკადრისი პასუხი გასცეს“ ქვეყანაში მოქმედ „კონტრრევოლუციონერებს“, მეამბოხე ძალაფენებს“, „ცუდ ელემენტებს“. ისინი, აცხადებს გაზეთი, ძირს უთხრიან სტაბილურობასა და შეკავშირებას, ცდილობენ დაძაბულობის გაჩაღებასა და მიტინგების მოწყობას, თუმცა ჩინეთის კონსტიტუციიდან ამოღებულია დებულებანი, რომლებიც ამგვარი საქმიანობის ნებას იძლევა.

შანხაის გაზეთი „ძეფან ჟიბაო“ განგაშს ტეხს ამ ქალაქში შექმნილი ვითარების გამო. გაზეთის მიმომხილველი წერს, რომ „ჩინეთის საზოგადოებრიობა აწუდება ხელისუფლებისაგან გადაყენებული ძიან ცინის დაჯგუფების მომხრეთა და იმათ კონტრშეტევას, ვინც იყენებს „კულტურული რევოლუციის“ მეთოდებს და ცდილობს ხელი შეუშალოს ქვეყანაში წესრიგის დამყარებას. გაზეთის თქმით, „რეაქციული ძალების“ წარმომადგენლები თავისას არ იშლიან. ისინი ავრცელებენ ფურცლებსა და არალეგალურ გამოცემებს, ქმნიან „უკანონო ორგანიზაციებს“.

სხვადასხვა პოლიტიკური დაჯგუფების ბრძოლა მიმდინარეობს როგორც ადგილებზე, ისე ჩინეთის ხელმძღვანელობის უმაღლეს ეშელონშიც. ამას მოწმობს ის, რომ გადაიდო განაჩენის გამოტანა ლინ ბიაოსა და ძიან ცინის „კონტრრევოლუციურ დაჯგუფებათა“ წევრებისათვის. მათი საქმის გამო სასამართლო მოსმენა დამთავრდა სამი კვირის წინათ, აღნიშნავენ მეთვალყურენი. მაგრამ განაჩენი დღემდე არ არის გამოტანილი ჩინეთის ხელმძღვანელობაში წარმოშობილი უთანხმოების შედეგად „მესაჭის“ ქვრივის დასჯის გამო. შესაძლოა, პეკინში, ეშინიათ, რომ ძიან ცინის სიკვდილის განაჩენი გამოიწვევს „კულტურული რევოლუციის“ მომხრეთა უარყოფითს რეაგირებას, რომლებსაც ჯერ კიდევ ხელმძღვანელი თანამდებობები უკავიათ პროვინციებსა და მაზრებში. ფიქრობენ, რომ ეს გაართულებს ქვეყანაში ისედაც მერყევ ვითარებას.

პეკინელი ლიდერები ცდილობენ მიმართონ პოლიტიკურ ოპოზიციასთან ბრძოლის გაძლიერებას. გაზეთები იმუქრებიან, რომ სახელმწიფო აპარატიდან გაათავისუფლებენ იმათ, ვინც არ ეთანხმება მიმდინარე პოლიტიკურ წესებს. ადგილებზე უამრავი თათბირი იმართება „იდეურ-პოლიტიკური“, „ადმინისტრაციულ-სამართლებრივი“ მუშაობის საკითხებზე, რომლებზეც განიხილავენ სხვაგვარ მოაზროვნეთა წინააღმდეგ ბრძოლის პრაქტიკულ, მათ შორის რეპრესიულ ღონისძიებებს.

## სალვადორი

### მზადება საზღვარზე

**ჰავანა.** როგორც პრენსა ლატინას სააგენტო იუწყება, გვატემალის ოფიციალურმა წარმომადგენელმა დაადასტურა ცნობა იმის შესახებ, რომ გვატემალის რეგულარულ ჯარებს თავი მოუყარეს სალვადორის საზღვრის გაყოლებით. ვაშინგტონიდან მოსული ცნობების თანახმად, არა მარტო გვატემალის, არამედ ჰონდურასის სახმელეთო ჯარები და ავიაცია სალვადორის საზღვრებთან იყრიან თავს. გვატემალამ სასაზღვრო რაიონებში გადაიყვანა რამდენიმე ათასიანი ჯარი. რაც შეეხება ჰონდურასს, როგორც იუწყებიან, მისი საჯარისო კონტინგენტი 3 ათას სამხედრო მოსამსახურეს აღწევს.

ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის წრეებში ყურადღებას მიაპყრობენ იმას, რომ სალვადორის წინააღმდეგ შეიარაღებული ინტერვენციის მომზადების ორგანიზატორები გვატემალისა და ჰონდურასის ტერიტორიიდან აპირებენ შეჭრის საბაბად გამოიყენონ ის ფაქტი, რომ ჰონდურასი, გვატემალა და სალვადორი არიან ცენტრალური ამერიკის თავდაცვის საბჭოს წევრები. ისინი აპირებენ ისარგებლონ წესდების იმ პუნქტით, რომელიც ითვალისწინებს „ურთიერთდახმარებას“ ერთ რომელიმე ქვეყანაზე შეიარაღებული თავდასხმის შემთხვევაში.

## ავღანეთი

### მოსპეს ბანდა

**ქაბული.** ავღანეთის ყუნდუზის პროვინციაში ლიკვიდირებულია კონტრრევოლუციური ელემენტების ჯგუფი, რომელსაც ტერორიზებული ჰყავდა მშვიდობიანი მოსახლეობა. ბანდიტებს ჩამოართვეს მნიშვნელოვანი რაოდენობის უცხოური იარაღი, ნაღმსატყორცნი, ნაღმები, ძირგამომთხრელი ლიტერატურა, პროკლამაციები.

---

## ფოტობიექტივი ამხილებს

# ცდილობენ პალესტინელთა ნატურალიზაციას



საქდესის ფოტო.

**ასიათასობით პალესტინელმა, რომლებიც სიონისტებმა მშობლიური მიწა-წყლიდან გახიზნეს, დროებითი თავშესაფარი ლიბანში პოვა. ისინი იბრძვიან, რათა სამშობლოში დაბრუნდნენ და დამოუკიდებელი სახელმწიფო შექმნან. მაგრამ ტელ-ავივის მმართველები ცდილობენ დამოუკიდებელი ლიბანის ტერიტორიაზე „გადაჭრან“ პალესტინელთა პრობლემა გენოციდის გზით — მოსპონ პალესტინელები: მოხუცები, ქალები, ბავშვები.**

**სურათზე: ისრაელის შორსმსროლელი არტილერიის ცეცხლის შედეგად დანგრეული ამ სახლის ნანგრევებში მოჰყვა მთელი ოჯახი.**

### ი. არაფატის განცხადება

**ბეირუთი.** ვაშინგტონი, ტელ-ავივი და კაირო კემპ-დევიდის სეპარატულ მორიგებათა მეშვეობით, ცდილობენ მიაღწიონ პალესტინელთა ნატურალიზაციას იმ არაბულ ქვეყნებში, სადაც დროებითი თავშესაფარი პოვეს, რათა თავიდან აიცილონ ისრაელ ოკუპანტთა ტერორი, აგრეთვე ცდილობენ დააკანონონ არაბული მიწების დაპყრობა მდინარე იორდანის დასავლეთ ნაპირისა და ღაზის სექტორისათვის ეგრეთ წოდებული „ადმინისტრაციული ავტონომიის“ თავს მოხვევის გზით.

ეს განაცხადა აქ გამართულ მიტინგზე პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის აღმასკომის თავმჯდომარემ ი. არაფატმა.

ლაპარაკიც კი არ შეიძლება ახლო აღმოსავლეთის რაიონში სტაბილურობასა და სამართლიან მშვიდობაზე, თუ არ განხორციელდება პალესტინელთა კანონიერი ეროვნული უფლებები, მათ შორის საკუთარი დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის უფლება.

პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის აღმასკომის თავმჯდომარემ თქვა, რომ, როცა თავის რევოლუციას იცავს, პალესტინელი ხალხი ამავე დროს იცავს მთელ არაბ ერს, რომელსაც ღვარძლიანად ესხმიან თავს ადგილობრივ რეაქციასთან დაკავშირებული საერთაშორისო იმპერიალიზმი და სიონიზმი.

---

## ფაქტის კომენტარი

# ახალი ადმინისტრაცია: როგორი იქნება კურსი?

**რონალდ რეიგანი,** რომელმაც საჯაროდ დადო ფიცი ბიბლიაზე, რომ „დაიცავს და გაუფრთხილდება“ შეერთებული შტატების კონსტიტუციას, 20 იანვრის ნაშუადღევს კაპიტალისტური სამყაროს უძლიერესი ქვეყნის მეორმოცე პრეზიდენტი გახდა. ფიცის დადების ოფიციალური ცერემონიით დასრულდა გაჭიანურებული და ხანგრძლივი საარჩევნო პროცესი, რომელმაც პირველადი არჩევნების გათვალისწინებით მთელ წელს გასტანა. იგი მოასწავებდა აგრეთვე ორხელისუფლებიანობის დამთავრებას, რომელიც დაიწყო ნოემბრის არჩევნებში პრეზიდენტ ჯ. კარტერის დამარცხების შედეგად. ამ პერიოდში დემოკრატიული ადმინისტრაცია აგონიას შეეპყრო, ახალი, რესპუბლიკური ადმინისტრაცია კი ის-ის იყო იქმნებოდა და ჯერ კიდევ არ ჰქონდა ხელთ სახელმწიფო ძალაუფლების საჭის სადავეები.

ახალ პრეზიდენტთან დაახლოებულმა პირებმა იზრუნეს, რომ თეთრ სახლში იგი ზარ-ზეიმით შესულიყო. 16-20 იანვარს ვაშინგტონში და ამერიკის კიდევ ასიოდე სხვა ქალაქში იმართებოდა სადღესასწაულო მეჯლისები, პარაკლისები და დარბაზობანი. წინასწარი გამოანგარიშებით, ამას მოხმარდა 8 მილიონი დოლარი —ერთიორად მეტი, ვიდრე ოთხი წლის წინათ გამოყვეს თავიანთი ტრიუმფის აღსანიშნავად დემოკრატებმა. ნაწილობრივ მაინც რომ აენაზღაურებინათ ეს ხარჯები, ზეიმობის ორგანიზატორებმა აიძულეს სტუმრები ჯიბეზე ხელი გაეკრათ— ზოგიერთ მეჯლისზე შესვლა ორი ათასამდე დოლარი ღირდა.

ახლა, როცა მთელი ეს ალიაქოთი მომთავრდა, დადგა დრო ჩავუფიქრდეთ, რას უზამს ახალი ადმინისტრაცია ჯ. კარტერის მიერ დატოვებულ სავალალო მემკვიდრეობას, და რა მიმართულებით აპირებს გაუძღვეს ქვეყანას.

რას ნიშნავს გამონათქვამი „ამერიკა დიადი ახალი დასაწყისია“, რომელიც რ. რეიგანმა თეთრ სახლში თავისი შესვლის დევიზად აქცია? ფაქტები მოწმობს, რომ ეს „ახალი დასაწყისი“, ალბათ, წინანდელი კურსის სახეშეცვლილი განგრძობა იქნება, რა თქმა უნდა, ახალი რიტორიკითა და რესპუბლიკური პარტიის ტრადიციული კლიშეთი შელამაზებული. პერსპექტივაში არ მოჩანს არაფერი, გარდა იმისა, რომ დიდი ბიზნესი ცდილობს შეუტიოს ამერიკელ მშრომელთა უფლებებს, თავი დააღწიოს ახლანდელ ეკონომიკურ კრიზისს მსხვილი კორპორაციების ისედაც აშკარად სიმბოლური მთავრობისეული კონტროლისაგან შემდგომი განთავისუფლების, უაღრესად სერიოზული შედეგების მქონე ავანტიურისტული საგარეო-პოლიტიკური კურსის განხორციელების, მილიტარისტული მზადების დაჩქარების გზით. გაზეთმა „კრისჩენს საიენს მონიტორმა“ ახლახან მოიყვანა გამონათქვამი დემოკრატიული ადმინისტრაციის ერთ-ერთი მაღალი თანამდებობის მოხელისა, რომელმაც არ ისურვა თავისი ვინაობის გამხელა. მან აღნიშნა: „ნახავთ, რა მალე დაადგება რონალდ რეიგანი ჯიმი კარტერის პოზიციას, როცა რეალიებს წააწყდება“.

რ. რეიგანი ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტად არჩევის შედეგად ამერიკელებს არ ანებივრებდა საჯარო გამოსვლებით, მოთმინებით ელოდა იმ დროს, როცა ოფიციალურად მიენიჭებოდა უფლებამოსილება. ხოლო თუკი გამოდიოდა, ძირითადად ეხებოდა ეკონომიკურ პრობლემებს, თანაც ყოველთვის დემონსტრაციულად უსვამდა ხაზს, რომ მთლიანად უჭერს მხარს რესპუბლიკური პარტიის პლატფორმას, რომლის დროშითაც ებრძოდა თავის მეტოქე დემოკრატს.

ამ პლატფორმის ერთ-ერთი ძირითადი დებულება, როგორც ცნობილია, ეს არის ვალდებულება მიაღწიონ ამერიკის შეერთებული შტატების „სამხედრო უპირატესობას“ საბჭოთა კავშირთან შედარებით, სხვანაირად რომ ვთქვათ, ვალდებულება გააძლიერონ გამალებული შეიარაღება იმ ილუზიური ოცნების მისაღწევად, რომ დაარღვიონ სტრატეგიული წონასწორობა და აღადგინონ ამერიკის ყოფილი ბატონობა მსოფლიოში.

თუ გადავხედავთ იმათ პოლიტიკურ პორტრეტებს, ვინც რ. რეიგანმა შეიყვანა ამერიკის პოლიტიკის შემოქმედთა წრეში, ცხადი გახდება, რომ თავისი პრეზიდენტობის დაწყებითს ეტაპზე მაინც იგი აპირებს იხელმძღვანელოს ამ განუხორციელებელი და, უფრო მეტიც, მშვიდობის საქმისათვის უაღრესად საშიში მიზნით. ჟურნალი „იუნაიტედ სტეიტს ნიუს ენდ უორლდ რიპორტი“ მოკლედ ახასიათებს მის ზოგიერთ დაახლოებულ პირს. სახელმწიფო მდივნის ა. ჰეიგის შესახებ იგი წერს, რომ ეს არის კაცი, რომელიც განახორციელებს „უფრო მკაცრ“ საგარეო პოლიტიკას, შეეცდება შეაფერხოს საბჭოთა კავშირთან მოლაპარაკების განახლება სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის თაობაზე, უმთავრეს ყურადღებას დაუთმობს „სამხედრო ძლიერების ზრდას“ და იარაღით ვაჭრობას გადააქცევს „ამერიკის დიპლომატიის ერთ-ერთ მთავარ ინსტრუმენტად“.

თავდაცვის მინისტრი კ. უენბერგერი, როგორც ჟურნალი წერს, დაუყოვნებლივ შეუდგება ზოგიერთი სამხედრო პროგრამის განხორციელებას, შეეცდება შექმნას ახლო აღმოსავლეთში ამერიკის შეერთებული შტატების მუდმივი სამხედრო ბაზები, ააშენოს სამხედრო ხომალდები და სატრანსპორტო თვითმფრინავები უზრუნველყოფილი „სწრაფი რეაგირების ძალებისათვის, განალაგოს ევროპაში 600 ერთეული ახალი ამერიკული რაკეტულ-ბირთვული იარაღი და შეიმუშაოს შეიარაღების პრინციპულად ახალი სისტემები.

სოფლის მეურნეობის ახალი მინისტრი ჯ. ბლოკიც კი იმის მომხრეა, რომ სურსათი ამერიკის საგარეო პოლიტიკის იარაღად გამოიყენონ. როგორც გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი“ წერს, იგი აცხადებს, ვაშინგტონმა სხვა ქვეყნები ამერიკის შეერთებულ შტატებზე „დამოკიდებული“ უნდა გახადოს, და ამერიკის საგარეო-პოლიტიკური მიზნებისადმი დაქვემდებარება ამ ქვეყნებისათვის მარცვლეულისა და სხვა საქონლის მიწოდების პირობად წამოაყენა.

უნდა ითქვას, გადამდგარმა დემოკრატიულმა ადმინისტრაციამ ცოტა როდი იმუშავა იმაზე, რომ თავისი მემკვიდრენი მილიტარისტული გზით წაეყვანა. ჯ. კარტერმა თავისი პრეზიდენტობის დასასრულს კონგრესს წარუდგინა 1982 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი, რომელშიც სამხედრო ხარჯები ამერიკის ისტორიაში პირველად აღემატება 200 მილიარდ დოლარს და მთელი ასიგნების თითქმის 27 პროცენტს შეადგენს. როგორც გაზეთ „ვაშინგტონ პოსტის“ მიმომხილველი ჯ. უილსონი შენიშნავს, ჯ. კარტერი თითქოს იწვევს რ. რეიგანს: აბა, ამაზე ხელგაშლილი თუ იქნებიო!

და თუ ახალი პრეზიდენტის დაახლოებულ პირთა შორის გაიმარჯვებენ ისინი, ვისაც „ზექორებს“ მიაკუთვნებენ, მაშინ შეიძლება სცადოს ეს.

საერთოდ კი იძლევა თუ არა თეთრ სახლში ყარაულის შეცვლა ოპტიმიზმის რაიმე საფუძველს? დიახ, იძლევა. უწინარეს ყოვლისა, ეს არის სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის პროცესისადმი რ. რეიგანის ერთგულება, თუმცა მნიშვნელოვანი შესწორებებით. ეს არის მისი გამონათქვამები საბჭოთა კავშირთან ვაჭრობაში დისკრიმინაციის წინააღმდეგ, კერძოდ, სსრ კავშირისათვის მარცვლეულის მიყიდვაზე ჯ. კარტერის მიერ დაწესებული ყადაღის წინააღმდეგ.

მაგრამ, უწინარეს ყოვლისა, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ რესპუბლიკელები საშინაო-ეკონომიკური და საგარეო-პოლიტიკური ფაქტორების ზეგავლენით შეიგნებენ, თუ რაოდენ ფუჭია ზრახვები დაარღვიონ ახლანდელი სტრატეგიული წონასწორობა შეერთებული შტატების სასარგებლოდ, შეიგნებენ აგრეთვე, რომ შეუძლებელია „ზარბაზნებისა და კარაქის“ პოლიტიკის განხორციელება. ამერიკაში ბევრი ადამიანია, მათ შორის მაღალი თანამდებობის პოლიტიკური მოღვაწენიც, რომლებიც გაფრთხილებას იძლევიან, „სამხედრო უპირატესობის“ აჩრდილის გამოდევნება არაფერს არ მოგვიტანს ეროვნული და საერთაშორისო უშიშროებისათვის ძირის გამოთხრის გარდაო. საკმარისია გავიხსენოთ ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი მოსკოველი ელჩის მ. თუნის სიტყვები, რომელმაც გაზეთ „კრისჩენ საიენს მონიტორისათვის“ მიცემულ ინტერვიუში ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირთან მოლაპარაკება შეიძლება მხოლოდ თანასწორობის პოზიციიდან და, რომ სსრ კავშირი ვერ შეურიგდება ამერიკის შეერთებული შტატების ცდებს მიაღწიოს ცალმხრივ სამხედრო უპირატესობას.

ობიექტურად ახლა არის პირობები, რომ მსოფლიოში გაჯანსაღდეს პოლიტიკური კლიმატი, რომელიც მკვეთრად გაუარესდა ვაშინგტონში ჯ. კარტერის მართვა-გამგეობის წლების მანძილზე. ამას არა მარტო მოჰყვება პროგრესი დაძაბულობის შენელებისა და საერთაშორისო თანამშრომლობის პოლიტიკის განხორციელებაში, არამედ ხელს შეუწყობს კიდეც შეერთებულ შტატებს გადაწყვიტოს დასახული უმწვავესი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები. საკითხი ის არის, მოისურვებს თუ არა რ. რეიგანის ადმინისტრაცია შეუწყოს ხელი ამას. ამაზე პასუხს მომავალი გაგვცემს.

**ი. რომანცოვი,**
საქდესის კორ.

## მხოლოდ ფაქტები

### ტელეტაიპის ლენტიდან

#### მოითხოვენ რეფერენდუმს

● **ჟენევა.** შვეიცარიის სოციალისტურმა პარტიამ მთავრობას მოსთხოვა მოაწყოს რეფერენდუმი სამხედრო ხარჯების საკითხზე.

როგორც ჟურნალი „ორდრ პროფესიონელი“ წერს, ქვეყნის პარლამენტმა გადაწყვიტა 1,2 მილიარდი ფრანკი გამოყოს საჰაერო თავდაცვის ახალი რაკეტების შესაძენად.

#### კატასტროფა რკინიგზაზე

● **ნიუ-იორკი.** ამერიკის ქალაქ კანზას-სიტიში (მისურის შტატი) ერთმანეთს დაეჯახა აფეთქებასაშიში ქიმიური ნივთიერებებით დატვირთული მატარებლის ორი შემადგენლობა. ავარიის შედეგად გაჩნდა ძლიერი ხანძარი. ახლომახლო მცხოვრები მოსახლეობა გახიზნეს.

#### გავლა გაძვირდა

● **ანკარა.** ერთ-ნახევარჯერ გაძვირდა საავტომობილო ტრანსპორტის გავლა ბოსფორის სრუტეზე გადებულ, თურქეთის ევროპული და აზიური ნაწილების დამაკავშირებელ კილომეტრ-ნახევრიან ხიდზე.

ამ უნიკალური ინჟინრული ნაგებობის დირექცია ახალ გაძვირებას ასაბუთებს ხიდის ექსპლოატაციისა და რემონტის გაზრდილი ხარჯებით.

ალექსანდრე აბაშელი (?)

# ჰე, გაბხედოთ ამერ-იმერს

ეუძღვნი საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის დელეგატებს (?)

[illegible]

ეს ფორთოხლის ხვავები თუ
მთებრა და გორებია!
ნეტავ, მწვანე ნოხებია,
თუ ეს ჩაის მწკრივებია,
ფოთლებს ნამი აყრია თუ
მარგალიტის მძივებია!

ენგურის და ლიახვის პირს
ეს რა სხივთა ციალია,
რიონის და სუფსის პირას
რა ტკბილ ჰანგთა წკრიალია!
რა ვარდები, რა იები,
რა ზამბახთა კონებია,
ყანებიც და ვენახებიც
თავისმოსაწონებია,
სილამაზეს ტყვედ ვყოლივარ,
თავი სიზმრად მგონებია!

ალაზანზე ზვრებს გავცქერი,
მხარეს ვეტრფი ალაზნიანს,
ყველაფერი კარგია და
ყველაფერი ლამაზია!
ქარვად ბრწყინავს რქაწითელი,
საფერავი მოჰგავს გიშერს...
ბროწეული წითელ ყვავილს
დროშასავით მაღლა იშვერს.
ატამს ლოყა უწითლდება,
მორცხვი გოგო გეგონება...
მკერდგავსილი ვაზი ჭიგოს
მიჯნურივით ეკონება.
მტევნებიდან თაფლი წვეთავს,
თითი თითზე გვეწებება...
რა მეკვლე გვყავს! —
სულ სიტკბო და
სიხარული გვექვებება!
მხარევ „მრავალჟამიერის“,
პურმარილის მხარევ ძველო,
შენი „დევის სისხლი“ მასვი,
მომაწოდე სავსე თასი, —
საქართველო ვადღეგრძელო!
ვაჟკაცური ჰანგი გრგვინავს,
თუ ეს ცაში ქუხილია,
რომ ბობოქრობს, ვულკანია
თუ ეს ქვევრის დუღილია;
ქვევრებია თუ ამდენი
თავმოპრილი დევებია...
ულექსობა, თავო, შენთვის
ველარ მომიტევებია!
გული ღელვამ დაიჭაბნა,
ველარ დამიწყნარებია;
მთაზე თოვლი გეგონება, —
ეს ჩვენი ცხვრის ფარებია;
დღეც ღია და ღამეც ღია —
ეს მასპინძლის კარებია.
სიხარული სიტკბოდ სწვეთავს, —
ჩემი ლექსის პწკარებია...
საქართველო ახე ძლიერ
ჯერ არასდროს მყვარებია!

## საბჭოთა დაღესტანი 60 წლისაა



# ხალხთა მძლე კავშირი

**პოლიტიკური** და ეკონომიკური აღმავლობით შეხვდა ავტონომიური რესპუბლიკის 60 წლის თავს მოძმე დაღესტანი.

ეკონომიკის, კულტურის, მეცნიერების განვითარებაში მიღწეულ უდიდეს წარმატებებს, მშრომელთა ცხოვრების დონის ამაღლებას დაღესტნელები უმადლიან მშობლიურ კომუნისტურ პარტიას, მის ლენინურ ეროვნულ პოლიტიკას.

● ●

**სურათებზე:** ორასოცმეტრიანი კაშხალისა და ჩირკეის ჰესის შენობის საერთო ხედი (მარჯვნივ); დაღესტნის სახალხო პოეტი ფაზუ ალიევა. მისი ლექსები თარგმნილია მსოფლიოს ბევრ ენაზე. ფაზუ ალიევა სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეც არის — არჩეულია დაღესტნის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილედ, დაღესტნის მშვიდობის დაცვის კომიტეტის თავმჯდომარედ, ამავე დროს რედაქტორობს ჟურნალ „დაღესტნის ქალებს“.

(საკდესის ფოტოქრონიკა).



# თეთრებით — იოსელიანი

## პრეტენდენტთა ფინალური მატჩი

[illegible]

## ჭადრაკი

[illegible]



მატჩის წინ. გ. ფირცხალავა ნახ.

### მიეძღვნა კომუნისტთა დიდ ფორუმს

● ●

# ყვავილები დელეგატებს

**20 ათასი** ალისფერი, ვარდისფერი, თეთრი მიხაკის სურნელება მოეფინება თბილისის სასტუმროების „აჭარისა“ და „ივერიის“ ვესტიბიულებს, სადაც რესპუბლიკის შრომითი კოლექტივების წარგზავნილნი — საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის დელეგატები იცხოვრებენ.

ყრილობის დელეგატები შეძლებენ ნაირ-ნაირი ყვავილები შეიძინონ თბილისის ყველა ცენტრალურ საყვავილეში, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს თბილისის ყვავილვაჭრობის გაერთიანების დირექტორმა ლ. სკანაძემ. — ათი ათას ვარდს, ოცდათხუთმეტ ათას მიხაკს, სამი ათას ფრთათეთრას, ათი ათას კონა იას გამოგზავნიან აქ თბილისის საბაზისო სანერგისა და ქუთაისის მეყვავილეობის მეურნეობის ორანჟერეებიდან. (საქინფორმი).

**დრო, ამბები, სიახლენი**

# საყრილობო საჩუქარი

**ქართველ** კომუნისტთა დიდ ფორუმს მხატვარმა არსენ ფოჩხუამ მიუძღვნა ბროლის უნიკალური ლარნაკი, რომელზედაც ამოკვეთილია თემატური კომპოზიცია, სოფლის მეურნეობა, მრეწველობა, მეცნიერება და ხელოვნება, კვეთა ავტორისეულია, ხოლო ჩუქურთმის მეალმასეა ოსტატი იროდი ერაძე.

ლარნაკი, რომელიც ერთი მეტრი სიმაღლისაა, ხოლო სიგანით 25 სანტიმეტრია, შემკულია ორიგინალური, ქართული ჩუქურთმებით. იგი დამზადებულია რესპუბლიკის კვების მრეწველობის სამინისტროს დაკვეთით, ქუთაისის მინის ტარის ქარხნის ბაზაზე.



# კოტე მარჯანიშვილის სახელობის პრემიის ლაურეატები

**საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ და საქართველოს თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმმა** დაამტკიცეს კოტე მარჯანიშვილის სახელობის პრემიის მიმნიჭებელი მუდმივი კომიტეტის გადაწყვეტილება უკანასკნელი ორი თეატრალური სეზონის (1978-1979, 1979-1980) განმავლობაში შექმნილი საუკეთესო თეატრალური და თეორიული ნაშრომებისათვის პრემიების მინიჭების შესახებ.

კოტე მარჯანიშვილის სახელობის პრემიის ლაურეატები გახდნენ ამირან ვალერიანის ძე შალიკაშვილი — თბილისის პანტომიმის სახელმწიფო თეატრის სპექტაკლის „მცირე მიწის“ დამდგმელი რეჟისორი; მიხეილ ივანეს ძე თუმანიშვილი — ავტორი მონოგრაფიისა „სანამ რეპეტიცია დაიწყება..“ (საქართველოს თეატრალური საზოგადოების გამოცემა, 1978 წ.).

საპატიო ჯილდოს ვულოცავთ დიდი ქართველი რეჟისორის სახელობის პრემიის ახალ ლაურეატებს!

ვ. ლომიძე.

# ძმობის ხიდი

**ხელვაჩაური.** (საკ. კორ.). ხელვაჩაურის რაიონის გონიოს საბჭოთა მეურნეობის კოლექტივმა მარტო უხვი მოსავლის მოყვანით როდი გამოიჩინა თავი, მას ასეთივე წარმატებები აქვს მხატვრულ თვითმოქმედებაშიც.

ამას წინათ თვითმოქმედი ანსამბლი „გონიო“ რიგას ეწვია და კონცერტები გამართა კულტურის მუშაკთა ტექნიკუმსა და კრიმულდის მეცხოველეობის კომპლექსის კულტურის სასახლეში. საპასუხოდ ბათუმს, ხელვაჩაურსა და გონიოს საბჭოთა მეურნეობას ესტუმრა რიგის კულტურის მუშაკთა ტექნიკუმის მოსწავლეთა დიდი შემოქმედებითი ჯგუფი, — მომავალი რეჟისორები, მუსიკოსები, ბიბლიოთეკარები.

საბჭოთა მეურნეობის ახალ კლუბში გაიმართა კონცერტი, რომელშიც მონაწილეობდნენ როგორც ლატვიელები, ისე მასპინძლები — გონიოს თვითმოქმედი კოლექტივის წევრები. შემდეგ სტუმრებმა კონცერტები გამართეს ბათუმის სამუსიკო სასწავლებელში, მესაზღვრეთა რაზმში და სხვაგან.

ასე დაამეგობრა ხელოვნების სიყვარულმა მოძმე ერების წარმომადგენლები.

მ. გორგილაძე.

# 33 საუკეთესო

**1980 წლის** საფეხბურთო სეზონის შედეგების მიხედვით გამოვლინდა სსრ კავშირის 33 საუკეთესო ფეხბურთელი. მათგან 10 კიევის დინამოელია, 7 — მოსკოვის სპარტაკელი, 6 — თბილისის დინამოელი, 3 — ლენინგრადის „ზენიტის“ წარმომადგენელია, 2 — ცსკასი. საუკეთესოთა რიცხვში თითო ფეხბურთელი შევიდა დონეცკის „შახტიორიდან“, როსტოვის არმიელთა გუნდიდან, მინსკის „დინამოდან“, ერევნის „არარატიდან“ და ლვოვის „კარპატიდან“. აი ისინიც: მეკარეები — **რ. დასაევი, ი. რომენსკი, ვიქ. ჩანოვი;** მარჯვენა მცველები — **თ. სულაქველიძე, ვ. ლოზინსკი, ვ. იანუშევსკი;** უკანა ცენტრალური მცველები — **ვ. ხიდიატულინი, ა. კონკოვი, შ. ხინჩაგაშვილი;** წინა ცენტრალური მცველები — **ა. ჩივაძე, ს. ბალტაჩა, ა. მირზოიანი;** მარცხენა მცველები — **ო. რომანცევი, ა. დემიანენკო, ვ. შვეცოვი;** მარჯვენა ნახევარმცველები — **ლ. ბურიაკი, თ. ჩერენკოვი, ვ. დარასელია;** ცენტრალური ნახევარმცველები — **ვ. ბესონოვი, ს. შავლო, ა. ტარხანოვი,** მარცხენა ნახევარმცველები — **ზ. ოჰანესიანი, ვ. ვერემეევი, ა. ბალი;** მარჯვენა თავდამსხმელები — **ს. ანდრეევი, ა. ხაპსალისი, ი. გერასიმოვი;** ცენტრალური თავდამსხმელები — **ი. გავრილოვი, დ. ყიფიანი, ი. ჟელუდკოვი;** მარცხენა თავდამსხმელები — **ო. ბლოხინი, რ. შენგელია, ვ. კაზაჩონოკი.**

# მეორე წრის ფინიშთან

**დღეს თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართება კალათბურთელ ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩი, თბილისის „დინამო“ უმასპინძლებს კიევის „სტროიტელს“. თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს თბილისელთათვის მეორე წრის ფინიშზე თითოეულ გამარჯვებას, ლაპარაკი ზედმეტია. უნდა ვიფიქროთ, რომ ისინი, როგორც წინა მატჩებში, ახლაც არ დაზოგავენ თავს წარმატებისათვის.**

როგორც ცნობილია, კალათბურთელთა ბოლო წლების ჩემპიონატებში ქულათა დარიცხვა ასე ხდება! გამარჯვებისათვის — 2 ქულა, წაგებისათვის — 1, ხოლო მატჩზე გამოუცხადებლობისათვის — 0. ასეთ დროს შეიძლება გუნდი, რომელსაც მეტი გამარჯვება აქვს, იმ გუნდზე უარეს ადგილზე მოხვდეს, რომელსაც ნაკლები მოგება, მაგრამ მეტი მატჩი აქვს გამართული. მაგალითად, თბილისის „დინამოს“ 20 თამაშიდან 14 მოგებით და 6 წაგებით 34 ქულა აქვს, მოსკოვის „დინამოს“ 22 მატჩიდან — 12 მოგება და 10 წაგება. ამრიგად, თბილისელებსაც და მოსკოველებსაც 34-34 ქულა აქვთ. მოსკოველ დინამოელებს ბურთების უკეთესი სხვაობით გათამაშების ცხრილში ახლა მესამე ადგილი აქვთ მიჩენილი, ხოლო თბილისელებს — მეოთხე. გადავხედოთ ყველა გუნდის სატურნირო მდგომარეობას, რომელშიც ქულათა დარიცხვის ამჟამად არსებული წესია გათვალისწინებული:

| | მ. | წ. | ქ. |
|---|---|---|---|
| ცსკა | 19 | 3 | 41 |
| „სპარტაკი“ (ლ) | 15 | 6 | 36 |
| „დინამო“ (მ) | 12 | 10 | 34 |
| „დინამო“ (თ) | 14 | 6 | 34 |
| „ჟალგირისი“ (კნ) | 12 | 9 | 33 |
| „სტროიტელი“ (კ) | 12 | 9 | 33 |
| „სტატიბა“ (ვ) | 11 | 11 | 33 |
| რტი (მნ) | 11 | 11 | 33 |
| ასკ (კ) | 8 | 14 | 30 |
| „კალევი“ (ტ) | 8 | 13 | 29 |
| „უნივერს.“ (ტშ) | 9 | 10 | 28 |
| „ლოკომ.“ (ნ) | 2 | 20 | 24 |
| ვეფი (რ) | 4 | 15 | 23 |

ვინაიდან საკავშირო ჩემპიონატის მატჩებზე გამოუცხადებლობის ერთ შემთხვევასაც არ ჰქონია ადგილი, გადავხედოთ გათამაშების ცხრილს, სადაც ქულათა დარიცხვის ძველი სისტემაა გამოყენებული (მოგება — 1 ქულა, წაგება — 0):

| | მ. | წ. | ქ. |
|---|---|---|---|
| ცსკა | 19 | 3 | 19 |
| „სპარტაკი“ | 15 | 6 | 15 |
| „დინამო“ (თ) | 14 | 6 | [illegible] |
| „დინამო“ (მ) | 12 | 10 | [illegible] |
| „ჟალგირისი“ | 12 | 9 | 12 |
| „სტროიტელი“ | 12 | 9 | 12 |
| „სტატიბა“ | 11 | 11 | 11 |
| რტი | 11 | 11 | 11 |
| „უნივერსიტეტი“ | 9 | 10 | 9 |
| ასკ | 8 | 14 | 8 |
| „კალევი“ | 8 | 14 | 8 |
| ვეფი | 4 | 15 | 4 |
| „ლოკომოტ.“ | 2 | 20 | 2 |

როგორც ხედავთ, მეორე ცხრილში უფრო ნათლად ჩანს გუნდების რეალური მდგომარეობა და წინსვლისა თუ ჩამორჩენის თეორიული შესაძლებლობები. თბილისის „დინამო“ მეორე წრის სამ მატჩს სტუმრად გამართავს: 29 იანვარს ითამაშებს რიგის „ვეფთან“, 31-ში — მინსკის რტისთან, ხოლო კაუნასის „ჟალგირისთან“ გამოტოვებული შეხვედრის თარიღი ჯერ არ არის ცნობილი.

ჯ. ენუქიძე.

# პირველი პერსონალური

**ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში გაიხსნა მხატვარ ალექსი ბალაბუევის ნამუშევრების გამოფენა. ეს შემოქმედის პირველი პერსონალური გამოფენაა. აქ წარმოდგენილია 127 ნამუშევარი, რომლებიც ხელოვანმა უკანასკნელი ოცი წლის მანძილზე შექმნა.**

მხატვარი ძირითადად აკვარელს მიმართავს. მის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უკავია პეიზაჟს, რომელიც მრავალფეროვნებით გამოირჩევა; მისი პეიზაჟებისათვის სიმშვიდე და ლირიზმია დამახასიათებელი. ავტორი ფერების საშუალებით გადმოგვცემს შუქ-ჩრდილების სხვადასხვა ეფექტს, ნამუშევრებში იგრძნობა უხვი სინათლე, ჰაერი და ნამდვილი ჰარმონია. მხატვრისთვის ერთნაირად საყვარელი და ახლობელია ზღვის სანაპირო თუ დათოვლილი მთები, შემოდგომის მოტივები თუ ზამთრის სურათები, სოფლის იდილია თუ ძველი ქალაქის გარეუბნები.

თბილი, ნაზი გრძნობა გვეუფლება, როცა ვათვალიერებთ მხატვრის მიერ პოეტური განცდით შესრულებულ ნამუშევრებს: „შემოდგომის მოტივი“, „ბიჭვინთა“, „ზღვის ციმციმი“, „გაზაფხული“, „ველზე“ და სხვ.

ნ. ხაფავა.

# საჩუქარი ბავშვებს

**ცაგერი.** (საკ. კორ.). **ახალი წლის პირველმა დღეებმა დიდი სიხარული მოუტანა სოფელ ქვედა ლუხვანოს ნორჩ მოქალაქეებს.** კაპიტალურად შეკეთებულ ყოფილ სასოფლო საბჭოს შენობაში მათთვის გაიხსნა ახალი საბავშვო ბაღი.

ამ საჩუქარმა უსაზღვროდ გაახარა სოფლის ნორჩები და მათი მშობლები, ოთახების განლაგებითა და კომფორტით შენობა შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს.

# შემნახველი სალარო ჩიხარეშში

**ლენტეხი.** (საკ. კორ.). **მაღალმთიან სოფელ ჩიხარეშში გაიხსნა ახალი, მეორე თანრიგის შემნახველი სალარო.** აქ ხდება მოსახლეობის ანაბრების მიღება-გაცემა, აკრედიტივების განაღდება, თავისუფალი მიმოქცევის სესხის ობლიგაციებისა და ლატარიის ბილეთების გაყიდვა, პერსონალური პენსიების გაცემა.

სოფლის ბევრმა მშრომელმა უკვე ისარგებლა სალაროს კეთილი მომსახურებით.

# დაეხმარნენ

**ბორჯომის რაიონის სოფელ დიდი მიტარბიდან სამამულო ომის ფრონტებზე 82 ვაჟკაცი იბრძოდა. ბევრი მათგანი სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლას შეეწირა, ბევრიც დაუბრუნდა მშობლიურ კერას.**

მათ შორისაა მიხეილ ქუმარატაშვილი, რომელსაც დღემდე აწუხებს ორივე ნატყვიარი ფეხი. იგი მხოლოდ ყავარჯნების დახმარებით დადის და ამიტომ ფიზიკური მუშაობა აღარ შეუძლია.

ომის ვეტერანს სახლ-კარის მიხედვაც უჭირდა...

და აი, ერთ დღეს მიხეილის ოჯახს თანასოფლელები ესტუმრნენ, რომელთაც ორ დღეს იშრომეს მის კარ-მიდამოში, სახლს ძველი სახურავი მთლიანად მოხსნეს და ახლით გადახურეს.

თანასოფლელთა დახმარებით ომის ვეტერანი ფრიად კმაყოფილი დარჩა.

● ●

# პარტიული სიტყვა № 1

**გამოვიდა** საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ჟურნალის **„პარტიული სიტყვის“** მიმდინარე წლის პირველი ნომერი.

იგი იხსნება მოწინავე სტატიით „ერთმანეთს იმედიანად ვართმევთ ხელს!..“ აქვე დაბეჭდილია საქართველოს კომპარტიის ზუგდიდის რაიკომის პირველი მდივნის ი. თოდუას, თბილისის საწარმოო გაერთიანება „ელმავალმშენებლის“ კომპლექსური ბრიგადის ხელმძღვანელის, სახელმწიფო პრემიის ლაურეატის ა. გელაშვილის, მახარაძის რაიონის სოფელ შრომის კოლმეურნეობის თავმჯდომარის, სოციალისტური შრომის გმირის მ. ორაგველიძის წერილები „ხალხის აზრი“ — ასეთია საერთო სათაური მასალებისა, რომლებსაც ჟურნალი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წერილის პასუხად აქვეყნებს.

რუბრიკით „ყრილობიდან ყრილობისაკენ“ დაბეჭდილია ინტერვიუ საქართველოს სს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრთან შ. ეცადაშვილთან. საქართველოს გასაბჭოების მე-60 წლისთავს ეძღვნება ე. დოლმატოვსკის წერილი „მეგობრობა სამარადჟამოდ“ და სხვა მასალები.

## თეატრალური აფიშა

**ჭიათურის** აკაკი წერეთლის სახელობის სარაიონთაშორისო თეატრის რეპერტუარში ერთ-ერთი საყურადღებო დადგმაა ალ. ჩხაიძის დრამა „დაბრუნება“. იგი ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების 35-ე წლისთავს მიეძღვნა.

ხვეული გზა სცენის სიღრმეში იკარგება. გზის დასასრულთან ნათდება ტოტებშეკვეცილი მუხა- ჰირთათმენისა და მძეთამძლეობის სიმბოლო. მუხაზე ჰკიდია ფარაჯა — მშვიდობის ნიშნად. მკრთალ შუქზე თანდათანობით ჩნდებიან დასევდიანებული და დათალხული ადამიანები.

გაისმის ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვები: „დღეს საქართველოს სოფლებსა და ქალაქებში შეხვდებით ქალებს შავებში ჩაცმულთ, რომლებიც გლოვობენ შვილებს, ქმრებს, და-ძმებს, ეს შავი ჩვენთვის არის უწმინდესი მოგონება იმათი, რომლებიც ვერ დაბრუნდნენ ომის მძიმე გზიდან“:

მუსიკა მძაფრდება; ისმის შიოსანი დედის ვაება... შუქჩრდილების რიალი წარმოსახავს სცენაზე ომის ჯოჯოხეთს... სცენის სიღრმეში მუხასთან გამოჩნდება საბა წერილით ხელში, გახარებული და შემართული... მაყურებელი აშკარად გრძნობს მუხისა და საბას იგივეობას: ომს, დარდს, ნგრევასა და ქარტეხილებს რომ ვერ გაუტეხავს გლეხკაცი, რომელშიც ახლა მაყურებელი ჯარისკაცის მამის განზოგადებულ სახეს ხედავს, დროც ზოგადია და მოქმედების ადგილიც...

... შვილის დღეობას იხდის საბა. მეზობლებს იწვევს. მაგიდას უსხედან სანდრო, სარდიონი, ალმასხანი, კესარია, გულიკო... სუფრას შლის ოჯახის სარძლო — ციცინო... თუმცა სად არის სუფრა, ხორაგი?.. არავითარი რეკვიზიტი სცენაზე არ ჩანს... ყველაფერი წარმოსახვაშია, მოქმედებაში, იმიტაციაში, მაგრამ თითქოს ხელშესახები და თვალხილულია ყველა საგანი. სახეებია რეალური: ომის სიმძიმე აწევთ მხრებზე საბასა და მის მეზობლებს, დაღუპულთა და დაკარგულთა დარდი ჩასდგომიათ თვალებში, სევდა და წუხილი ჩაბუდებულა გულში, მაგრამ რწმენა და იმედიც გამოსჭვივის მზერაში, საუბარში, მოძრაობაში...

დღეობის სუფრაა და ღიმილს იხსენებენ თითქოს, ხუმრობაც წასცდებათ, წაიღიღინებენ კიდეც. სიმღერა ცეკვაში გადაიზრდება: დიდი ტკივილის დათრგუნვა სურთ ადამიანებს, დარდის გადაყრა და მძიმე ტვირთის შემსუბუქება... თითქოს უხარია ყველას, უხარია საბას შვილის დღეობა, მაგრამ გამრჯე და ხელწმინდა გლეხკაცის ღიმილსა და ღიღინში შიშია შეპარული. იუბილარი ფრონტზეა, ომი გრძელდება... ჰოდა, სიმღერა არ ჰგავს სიმღერას. იგი სევდიანი საგალობელია ომში დაღუპული თანასოფლელების სულთა ლაღადისად, ცეკვა საალაპო რიტუალია... თითქოს უბედურების მოლოდინშია ყველა...

# სპექტაკლის ნათელი

ეს უბედურებაც მოაქვს მიხაკო ფოსტალიონს: ვაჟა იაშვილის დაღუპვის ცნობა, მუხლმოკვეთილი, სახსრებდაშლილი, მიჰყვება გზახვეულს ნოდარ ჩაჩანიძის საბა მიხაკომდე... და დავრდომილი, დაცოტავებული ლამის ჩაიკეცოს. ხელს შეაშველებენ მეზობლები, მხრებში შეუდგებიან, არ უნდა წაიქცეს მუხა...

... მერე სცენაზე ერთმანეთს ცვლიან მძაფრი, დრამატული სურათები; მოქმედება უკვე ოცი წლის შემდეგ ხდება. გადარჩენილი სამშობლო, ერი, სოფელი შრომისა და აღმშენებლობის საქმით არის გართული. წამოიზარდნენ ვაჟკაცები. თუმცა სიბერე შეჰპარვიათ საბას, მიხაკოს, ალმასხანს, სანდროს, სარდიონს, ციცინოს... მაინც მხნეობენ, მტერზე გამარჯვების მეოცე წლისთავს ზეიმობს სოფელი... გაზეთის მეოხებით ახლაღა გაიგებენ ვაჟა იაშვილის საფლავის ადგილსამყოფელს. დელეგაცია მიდის უკრაინაში. იქ ხვდება საბა შვილის ფრონტელ მეგობარს მიკოლა კრავჩენკოს, მის მეუღლეს — მარინეს და მათ ვაჟიშვილს — ვაჟას...

სპექტაკლის დრამატიზმი უფრო მძაფრდება სიმბოლური ხვეული გზა აღმა-დაღმა დაატარებს საბას... საბა იჯჯს აზუსტებს: ვაჟა კრავჩენკო ნამდვილად მისი შვილიშვილია, სისხლი და ხორცი... კრავჩენკოს ოჯახს უშვილებია და აღუზრდია... ჰოდა, მათი შვილიც არის, მათი პირმშოც!

დრამატულ სამკუთხედში მოექცევა ვაჟა: აღმზრდელ მშობლებსა და ბაბუას შორის. წინა პლანზე დგება მოქალაქეობრივი მოვალეობა, ადამიანური სინდისი, კომუნისტური მორალის, შეგნებისა და ღირსების საკითხი, რომელთა საწყისი სიკეთეა, თუმცა მშობლიური გრძნობა უწმინდესი და მტკივნეულია.

... ფინალურ სცენაში ვაჟა კრავჩენკო — იაშვილი თვითონ ჩამოდის სტუმრად სოფელში. აღმზრდელი მშობლებისაგან უკვე იცის, რომ მშობლიურია მისთვის ერკეთი, ამიტომ შეეთვისა ერთბაშად, ამიტომ შეიყვარებს მას, მთელ სოფელს, საბა ბაბუას... იცის მიხაკომ, ჯუმბერმა, ციცინომ... მთელმა სოფელმა იცის, რომ ვაჟა მათიანია, მათი სისხლი და ხორცი, მათი რწმენა და იმედია, მაგრამ სხვაგან გაზრდილა. თუმცა ის „სხვაგან“ არ არის შორეული: ისიც ჩვენია, საბჭოური, მშობლიური, რამეთუ კიევსა და ერკეთს შორის მანძილი ათასეული კილომეტრებით კი არა, თითქოს ერთი ნაბიჯით იზომება, რადგან: „აგერაა ერკეთი და აგერ ვართ ჩვენ“. განზომილებათა ზღვარი წაშლილია. ვაჟა უკრაინის შვილიც არის და საქართველოსიც.

ასეთია ჭიათურის სახელმწიფო თეატრის სპექტაკლი „დაბრუნება“, რომელიც დადგა რეჟისორმა ლილი ბულუხიამ.

ნათელი რეჟისორული ჩანაფიქრის განხორციელებას ხელი შეუწყო თეატრის კოლექტივის გულმოდგინებამ და გააზრებულმა თამაშმა.

საბა იაშვილის მეტად რთული სცენური სახის შექმნით გაგვახარა რესპუბლიკის სახალხო არტისტმა ნოდარ ჩაჩანიძემ.

მიხაკოს თამაშობს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი როდერ ჩაჩანიძე. მისი ფოსტალიონი განზოგადებული სახეა, რომელიც ცხოვრობს სოფლის ავკარგით,

რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის გივი მოდებაძის მიკოლა კრავჩენკო შესანიშნავი მხატვრული სახეა კეთილი კაცისა.

ჭიათურის თეატრის სცენაზე სადებიუტო იყო ზაალ მაკასარაშვილისათვის ვაჟას როლი. ახალგაზრდა მსახიობი უშუალო, წრფელია თავის განცდებში.

სპექტაკლის გამარჯვებას დიდად შეუწყვეს ხელი რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტებმა აკაკი ბაქრაძემ — ალმასხანი, ლევან ხვედელიძემ — სარდიონი, რუსიკო აბზიანიძემ — კესარია, მსახიობებმა თამარ ირემაძემ, — ციცინო, ნანა ჯინჭარაძემ — გულიკო, კობა ქოქოსაძემ — სანდრო, რობინზონ ქოჩიაშვილმა — ჯუმბერი, იური ბიწაძემ — პოცელუიკო, მხატვარმა ლ. მურუსიძემ, ა. ასატრიანმა (მუსიკალური გაფორმება) და რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის ლ. ბაბკოვას ქორეოგრაფიამ.

სპექტაკლი შეიყვარა მაყურებელმა, ეს სიყვარული მისი ჭეშმარიტი მხატვრული ღირსების საზომია, რასაც მოწმობს ის ფაქტიც, რომ საქართველოს თეატრალური საზოგადოების ყოველწლიური კონკურსის (1979-80 წლების სეზონი) შეჯამებისას თანამედროვეობის ამსახველ სპექტაკლში საუკეთესო აქტიორულ ნამუშევრად ნოდარ ჩაჩანიძის საბაც აღიარეს.

ე. ჯიშკარიანი.

# მ. კ. მებონია



გარდაიცვალა საკავშირო მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი, 1921 წლიდან სკკპ წევრი მიხეილ კონსტანტინეს ძე მებონია.

მ. მებონია დაიბადა 1900 წელს ქუთაისის გუბერნიის ზუგდიდის მაზრის სოფელ წალენჯიხაში. მან შრომითი საქმიანობა დაიწყო 1916 წელს. 1921-1922 წლებში იგი შინაგან საქმეთა წალენჯიხის რაიგანყოფილების უფროსის მოადგილეა, ხოლო შემდეგ — თბილისის მეთაურთა შემადგენლობის სკოლის კურსანტი. 1930 წლამდე მ. მებონია მუშაობდა თბილისში სხვადასხვა ხელმძღვანელ თანამდებობაზე. 1931 წელს იგი ჩაირიცხა მოსკოვის საგარეო ვაჭრობის ინსტიტუტში. ამ უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ კვლავ თბილისში ბრუნდება და ხელმძღვანელობს საზოგადოებრივი კვების, აგრეთვე სხვა დაწესებულებებს.

1943 წლიდან მ. მებონია კვლავ შინაგან საქმეთა ორგანოებშია. დიდი სამამულო ომის დამთავრების შემდეგ კი იგი ჩვეული გულმოდგინებითა და მონდომებით მუშაობს სხვადასხვა პასუხსაგებ თანამდებობაზე აფხაზეთში, ზუგდიდში, თბილისში. 1957 წლიდან მ. მებონია პერსონალური პენსიონერია, მაგრამ 1969 წლამდე მაინც განაგრძობს შრომითს საქმიანობას.

ყველგან, სადაც კი უმუშავია, მ. მებონია მუდამ დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა საქმეს, მოპოვებული ჰქონდა დამსახურებული ავტორიტეტი. იგი დაჯილდოებული იყო მედლებით, საპატიო სიგელით.

ვეტერანი კომუნისტის, შესანიშნავი ამხანაგის ნათელი ხსოვნა დიდხანს დარჩება მის ნაცნობებსა და მეგობრებში.

**საქართველოს კომპარტიის თბილისის კიროვის რაიკომი; პარტიის ვეტერანთა რაიონული საბჭო.**

## ტელევიზია

### 21 იანვარი

**პირველი პროგრამით:** 09.00 — „ვრემია“ (მ.), 09.40 — დილის ვარჯიში (მ.), 10.05 — „მოამბე“, 10.35 — მხატვრული ფილმი „ჩემი ბედი“. III სერია, 11.55 — კონცერტი, 12.40 — მულტიპლიკაციური ფილმები, 13.10 — ტელეკურსი მათემატიკაში, 17.05 — ბავშვებისათვის — მულტიპლიკაციური ფილმები, 17.30 განცხადებები, 17.35 — „ყრილობის დელეგატი“, 17.45 — შევისწავლოთ გერმანული ენა, 18.15 — „საშვილიშვილო საქმე“, 18.35 — კინონარკვევი, 18.50 — „ყრილობის დელეგატი“, 19.00 — „შენ გიმღერ, სამშობლოვ! — კონცერტი, 19.30 — „მოამბე“, 20.00 — კალათბურთი სსრ კავშირის პირველობაზე: თბილისის „დინამო“-კიევის „სტროიტელი“. რეპორტაჟი თბილისის სპორტის სასახლიდან, 21.30 — „პატაკი პარტიას“, 21.50 — პრეტენდენტთა ფინალური მატჩი, 22.00 — „ვრემია“ (მ.), 22.35 — მხატვრული ფილმი „ექვსი ივლისი“, დასასრულ „მოამბე“ (ლამის გამოშვება).

**მეორე პროგრამით:** 17.40 — ბალეტის მოყვარულთათვის, 18.10 — დოკუმენტური ფილმი, 18.25 — განცხადებები, 18.30 — სატელევიზიო ფილმი „სიკვდილით დაისაჯნენ გამთენიისას“.

## თეატრი

### 21 იანვარი

**ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — ტოსკა** (სსრკ დიდი თეატრის სოლისტების მჭყვალა ქასრაშვილისა და ზურაბ სოტკილავას გასტროლები); **მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — შთამომავლობა;** აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — **პერიკოლა;** მეტეხის თეატრი — **გზა** (პრემიერა); **კონსერვატორიის დიდი დარბაზი — საქართველოს რადიოტელევიზიის სიმფონიური ორკესტრი.**

რედაქტორი

გ. ბედინეიშვილი.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი, საქართველოს ჰიგიენისტთა და მედიკოსპისტორიკოსთა სამეცნიერო საზოგადოება ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე

ანთიმოზ ერასტის ძე ასათიანი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 უი 02033 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14. ინექდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში. ხომარაულის 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20